


პოლიტიკის  
მოკვანები

პოლიტიკის მოკვანების  
კრებული

აიანი 2016



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

# ՀՊԵՆՏԻՆԻ ԸՄՎՊԹՆԵԾՎՈՆ ՎԻՃԵԾԸ

---

ՅԱՆՆՈՒ 2016



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

The Georgian Institute of Politics (GIP) is a Tbilisi-based non-profit, non-partisan, research and analysis organization founded in early 2011. GIP strives to strengthen the organizational backbone of democratic institutions and promote good governance and development through policy research and advocacy in Georgia. It also encourages public participation in civil society-building and developing democratic processes. Since December 2013 GIP is member of the OSCE Network of Think Tanks and Academic Institutions.

\*This publication has been produced from the resources provided by the National Endowment for Democracy. The opinions expressed are those of the authors and do not necessarily reflect the views of the Georgian Institute of Politics and the National Endowment for Democracy.

პუბლიკაცია მომზადდა „ნაციონალური ფონდის დემოკრატიისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა“ და „ნაციონალური ფონდის დემოკრატიისთვის“ თვალსაზრისს.

© Georgian Institute of Politics

Tel: +995 599 99 02 12

Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

[www.gip.ge](http://www.gip.ge)

## წინასიტყვაობა

უკვე დაახლოებით ორი ათეული წელია, რაც საქართველო, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ბალტიისპირეთს სახელმწიფოებს თუ არ ჩავთვლით, ყველაზე მეტს აკეთებს სტაბილური პოლიტიკური ინსტიტუციების ჩამოსაყალიბებლად და მართვის დემოკრატიული სისტემის ასამუშავებლად. საქართველო უკვე წლებია, ღიად ცდილობს კანონის უზენაესობის და დემოკრატიული ინსტიტუტების ერთგულებას. თუმცა, 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიზაცია და კარგი მმართველობა სამართლებრივ აუცილებლობადაც იქცა, როგორც ევროპული ინტეგრაციის პროცესის ნაწილი. ამ ხელშეკრულებამ არა მხოლოდ დაუახლოვა საქართველო ევროკავშირს, არამედ განამტკიცა საქართველოს, როგორც დასავლური „ვექტორის“ მქონე ქვეყნის პოზიცია სამხრეთ კავკასიაში. მდგრადი, კანონზე დაფუძნებული მმართველობის სისტემის შექმნა უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის დემოკრატიულ ერთა შორის

სრულფასოვანი ადგილის დასამკვიდრებლად. და ეს მიზანი ყველა მიმართულების პოლიტიკოსის და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობის მიერ არის მხარდაჭერილი.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, ქვეყანას სანდოობის პრობლემა მაინც ექმნება ჯერ კიდევ მყიფე დემოკრატიის გასამყარებლად სუსტი პოლიტიკური პროგრესის გამო. საქართველო ამყობს იმით, რომ საკმაოდ წინ წაინია ევროპული ინტეგრაციის კუთხით, თუმცა, ცხადია ისიც, რომ გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს დემოკრატიული სტრუქტურების ინსტიტუციონალიზების და მათი შემდგომი გამყარების მიმართულებით. ევროკომისიის ანგარიშის მიხედვით<sup>1</sup>, მართალია, საქართველომ გასული წლის სამოქმედო გეგმით (ENP) განერილი მთავარი რეკომენდაციები შეასრულა, მაგრამ ასევე აუცილებელია სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის რეფორმა, საინვესტიციო გარემოს დახვეწა, ადამიანის უფლებების დაცვა და ეკონომი-

<sup>1</sup> Fourth progress report on Georgia's implementation of the action plan on visa liberalization. Brussels, 18.12.2015 COM (2015) 684 final. ხელმისაწვდომია აქ: <https://ec.europa.eu/transparency/regdoc/rep/1/2015/EN/1-2015-684-EN-F1-1.PDF>

კური შესაძლებლობების უზრუნველყოფა მოქალაქეებისთვის. ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას ასევე სჭირდება ბევრად უფრო ტოლერანტული და პლურალისტული პოლიტიკური კულტურაც.

დღეს საქართველოს წინაშე მდგარი მთავარი ამოცანაა, დემოკრატიის გასაძლიერებლად წარმატებული ევროპული პოლიტიკა კონკრეტულ ნაბიჯებად აქციოს: საქართველოს პოლიტიკური სისტემა გარდამავალ ეტაპზეა, ხშირად იცვლება ბალანსი პრემიერ-მინისტრს, პრეზდენტსა და პარლამენტს შორის. კონსტიტუციაში შესულმა უკანასკნელმა ცვლილებებმა გაზარდა დემოკრატიული მმართველობის შესაძლებლობა, თუმცა, ცხადია ისიც, რომ დღევანდელ ქართულ საზოგადოებას აკლია როგორც ძლიერი პოლიტიკური ნება, ასევე, დემოკრატიული მართვის გამოცდილება. უკანასკნელმა წლებმა მოიტანა სხვა პრობლემებიც, მათ შორის – დემოკრატიით გადაღლაც. ბოლო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საქართველოს მოქალაქეები უკმაყოფილოები არიან ნელი ეკონომიკური ზრდით, მდიდრებსა და ღარიბებს შორის

მზარდი უფსკრულით, რაც ბოლო წლების მანძილზე დემოკრატიული რეფორმების მიმართ საზოგადოების უნდობლობას უწყობს ხელს.<sup>2</sup> დემოკრატიის მიმართ სკეპტიციზმი, შესაძლოა, სერიოზულ საფრთხედ იქცეს ქართული დემოკრატიის მშენებლობის რთულ პროცესში, მათ შორის საქართველოში დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების განმტკიცებისა და სრულყოფის მიმართულებითაც.

2016 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, საარჩევნო კამპანია კი საქართველოში დემოკრატიით გადაღლის ფონზე იწყება. ეს არჩევნები საქართველოშიც და უცხოეთშიც განიხილება, როგორც ლაკმუსის ქალღმერთი ქართული დემოკრატიისთვის. მისი შედეგები, სავარაუდოდ, დიდი ხანის მანძილზე გასაზღვრავს საქართველოს მომავალს. ამ ფონზე ჯერ კიდევ არ არის ცხადი პასუხი კითხვაზე, პოლიტიკური ელიტის ცვლილება საქართველოს დასავლური ტიპის ლიბერალურ დემოკრატიასთან მიიყვანს თუ კვლავ პოლიტიკურ რყევებს გამოიწვევს. მაშინ, როცა ქვეყნის დასავლელი მეგობრები ელიან, რომ ქართული პოლიტიკური კლასი

<sup>2</sup> Trends in the data: Public Support for democracy slowly waning in Georgia. CRRC blogpost. May 9.2016. ხელმისაწვდომია: <http://crrc-caucasus.blogspot.hu/2016/05/trends-in-data-public-support-for.html>

იმუშავებს დემოკრატიული პროცესის გასაუმჯობესებლად, ქართული საზოგადოებას იმედი აქვს, რომ პოლიტიკოსები ასევე შეძლებენ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას უმუშევრობის და სიღარიბის შესამცირებლად. ამასთანავე მუდმივი და თანამიმდევრული დიალოგი საქართველოსა და მის დასავლელი პარტნიორებს შორის არის იმის წინაპირობა, რომ ქვეყანა, მიუხედავად პოლიტიკური ზენოლისა, არ გადაუხვევს დემოკრატიის გზიდან.

ამ რთულ ვითარებაში საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა (GIP) „ნაციონალური ფონდის დემოკრატიისთვის“ მხარდაჭერით მოამზადა წინამდებარე პუბლიკაცია

პროექტის“ დემოკრატიზაციის ანალიზი საქართველოში“ ფარგლებში. პუბლიკაცია ოთხი მოკლე პოლიტიკის დოკუმენტისგან და რეკომენდაციებისგან შედგება, რომელებიც მიმდინარე პრობლემებს შორის იმ რამდენიმე მეტ-ნაკლებად აქტუალურ და მწვავე საკითხს მოიცავს, რომელთა წინაშეც დგას საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესი.

იმედი გვაქვს, რომ ეს პუბლიკაცია დაინტერესებს ბევრ ინსტიტუციას და ორგანიზაციას, საჯარო მოხელეებს, რეგიონის საკითხებით დაინტერესებულ ანალიტიკოსებს და ყველას, ვინც ჩართულია საქართველოს დემოკრატიის და პოლიტიკური განვითარების კვლევაში.

**კორნელი კაკაჩია**

**საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის  
დირექტორი**



შეუძლია თუ არა ქართულ  
მართლგადაცემულ ეკლესიას  
დემოკრატიზაციის პროცესში  
წვლილის შეტანა?

პოლიტიკის დოკუმენტი I

იანვარი 2016





## სალომე მინესაშვილი\*

### მოკლე შინაარსი

საქართველო ევროკავშირში შესვლას და ევროპულ ოჯახში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ცდილობს. თუმცა, ამისათვის აუცილებელია ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებით წარმართვა. აღნიშნული პროცესი იოლი არ არის – რეფორმები აიძულებს საზოგადოებას გადააფასოს საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული შეხედულებები და ტრადიციები. რეფორმები ხშირად საჯარო კამათის საგნად იქცევა, სადაც, როგორც წესი, ძალაუფლების მქონე ჯგუფები ცდილობენ კიდევ უფრო გაზარდონ საკუთარი ზეგავლენა. ამ ჯგუფებს შორის ერთ-ერთია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (სმე). სმე-მ, რომელიც, უკვე წლებია, ქვეყნის მოსახლეობის ძალიან დიდი ნდობით სარგებლობს და რომელმაც დემოკრატიასთან დაკავშირებულ საკითხებსა და რე-

ფორმებზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას გავლენა რამდენჯერმე უკვე იქონია. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ სწორად მოქმედების შემთხვევაში, ეკლესიამ დადებითი როლი ითამაშოს დემოკრატიზაციის პროცესში, რადგანაც მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს როგორც ქართულ საზოგადოებაზე, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზეც. წარმოდგენილ პოლიტიკის დოკუმენტში გაანალიზებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებები დემოკრატიზაციის კონტექსტში და ასევე მისი ღირებულებები და ქმედებები. აგრეთვე განხილულია პოტენციური გზები, თუ როგორ შეიძლება ჩაერთოს ეკლესია როგორც რეფორმების პროცესში, ასევე საერთოეროვნული მნიშვნელობის საჯარო და პოლიტიკურ დებატებში.

\* სალომე მინესაშვილი – საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის დოქტორანტი

## შესავალი: სმე-ს ძალაუფლება და გავლენა

2015 წლის 5 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა, ილია მეორემ განაცხადა, რომ პატრიარქს პატიმრების შეწყალების უფლება უნდა ჰქონოდა. ამ ინიციატივას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით შეწყალების უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს<sup>1</sup>, მხარი დაუჭირა როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის რამდენიმე წევრმა. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მეორე ნაწილმა მკაცრად გააკრიტიკა ეს იდეა. საპატრიარქომ მეორე დღესვე უკან დაიხია განცხადებით, რომ ილია მეორეს სიტყვები საკანონმდებლო ინიციატივად არ იყო განზრახული. თუმცა, რამდენიმე მაღალი რანგის თანამდებობის პირის მზადყოფნამ, ემოქმედათ პატრიარქის მითითების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კონსტიტუცია ეკლესიას და სახელმწიფოს ერთმანეთისგან მიჯნავს, საქართველოში პოლიტიკასა და რელიგიას შორის არსებული ზღვარის ბუნდოვანება კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა. სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფა დემოკრატიული მმართველობის ძირითადი ელემენტია. საქართველოსთვის ესაა მნიშვნელოვანი წინაპირობა,

რათა მიაღწიოს საგარეო პოლიტიკის საჯაროდ გაცხადებულ მიზანს – განწევრიანდეს ევროკავშირში და შეასრულოს ასოცირების შეთანხმების ყველა პირობა.


რადგანაც საქართველოში ასეთი მყიფეა ზღვარი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში გავლენიან მართლმადიდებელ ეკლესიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. სმე-ს არა მხოლოდ შეუძლია საკუთარი მოსაზრებები საზოგადოების სხვადასხვა ფენებში გაავრცელოს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკურ დღის წესრიგზეც.

მართლმადიდებელი ეკლესიის ძალაუფლება ქართული საზოგადოების მზარდ რელიგიურობას ეფუძნება. „კავკასიის ბარომეტრის“ უკანასკნელი, 2013 წლის კვლევის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 81% საკუთარ თავს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრად მიიჩნევს, ქვეყანა კი მსოფლიოში ხუთი ყველაზე რელიგიური ერიდან ერთ-ერთია.<sup>2</sup> მათ შორის, ვინც საკუთარ თავს სმე-ს წევრად აღიქვამს, 95%-ს მიაჩნია, რომ რელიგია მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.<sup>3</sup> უფრო საყურადღებო და მრავლისმთქმელი კი ისაა, რომ 18-35 წლის ახალგაზრდები, უფრო

რელიგიურები არიან, ვიდრე ისინი, ვინც 35 წელზე უფროსია (გრაფიკი)<sup>4</sup>. მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს კონსტიტუციაში მის როლს კიდევ უფრო აძლიერებს. 2002 წელს, კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც კონკორდატის სახელითაა ცნობილი, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მრავალი პრივილეგია მიენიჭა, მათ შორი – გათავისუფლდა გადასახადებისგან. შეთანხმება შეეხო განათლების და კულტურის სფეროებსაც და გულისხმობდა

იმასაც, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას „ერთობლივად ეზრუნათ“ ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე<sup>5</sup>. ამას გარდა, თუ სკოლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები მართლმადიდებლობის სწავლებას გადანყვეტენ, სასწავლო გეგმების განსაზღვრა და მასწავლებლების არჩევა სმეს პრეროგატივაა.<sup>6</sup> ეკლესიამ, საკონსტიტუციო შეთანხმებით განსაზღვრული უფლებების განსახორციელებლად მოგვიანებით ასევე გააფორმა ხელშეკრულებები განათლებისა და იუსტიციის სამინისტროებთან.<sup>7</sup>

RLGIUS: How religious would you say you are?  
by  
AGEGROUP: Respondent's age  
The variable was generated from the open-ended question



წყარო: CRRC. (2013). კავკასიის ბარომეტრი საქართველო.

## სმე: დემოკრატიზაციის ხელშეწყობის და შეფერხების კალაუფლება

ქართულ ეკლესიას, მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტის გამო, პოტენციურად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის დემოკრატიზაციის და შესაბამისად, ევროპეიზაციის პროცესში, თუმცა ამავდროულად შესწევს საკმარისი გავლენა, რომ ეს პროცესი, სულაც, შეაფერხოს. დემოკრატიასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში ეკლესიას წინააღმდეგობრივი პოზიცია უკავია.

ის, ერთი მხრივ, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ქართულ კანონმდებლობაში ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების შეტანას. 2011 წელს, პატრიარქმა ილია მეორემ პროტესტი გამოთქვა სამოქალაქო კოდექსში იმ ცვლილების შეტანაზე, რომელიც რელიგიური უმცირესობების ჯგუფებს უფლებამოსილებას აძლევდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირებულიყვნენ. ეკლესიამ გააკრიტიკა კანონი და განაცხადა, რომ ეს ცვლილება ეწინააღმდეგებოდა როგორც ეკლესიის, ასევე სახელმწიფოს ინტერესებს.<sup>8</sup>

ცვლილებებს წინ უძღვოდა საპროტესტო აქციები, რომელიც ეკლესიის მიერ იყო ორგანიზებული და რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა შიშს, რომ ეს კანონი შეასუს-

ტებდა სმე-ს პოზიციას რამდენიმე სადავო ეკლესიის მფლობელობასთან დაკავშირებით – განსაკუთრებით იმ ტაძრებთან მიმართებაში, რომლებზეც სომხური ეკლესია დავობს. კიდევ ერთი მაგალითია 2014 წელს, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, რომელსაც სმე აქტიურად ეწინააღმდეგებოდა. სასულიერო პირები პირადადაც ესწრებოდნენ პარლამენტის პლენარულ სხდომებს იმ არგუმენტით, რომ თანაბარი უფლებები სექსუალური უმცირესობებისათვის და გენდერული თანასწორობა მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა.<sup>9</sup>

საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები ორივე შემთხვევაში მიიღო და საბოლოოდ კანონები დამტკიცდა. თუმცა, ანტიდისკრიმინაციული კანონის ბოლო ვერსია მიღებამდე მნიშვნელოვანწილად შეიცვალა. საბოლოო დოკუმენტი აღარ ითვალისწინებს ინსპექტორის ოფისის შექმნის იდეას, ხოლო დისკრიმინაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ისჯება, თუკი არ ეწინააღმდეგება სახალხო მორალს და სმე-სთან გაფორმებულ საკონსტიტუციო შეთანხმებას.<sup>10</sup> სამოქალაქო საზოგადოება შეურაცხყოფილი დარჩა ამ ცვლილებებით, რადგან აღმოჩნდა, რომ პარლამენტმა ქვეყნის დემოკრატიზაციის

ხარჯზე ეკლესიას ასიამოვნა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ქვეყნის დემოკრატიულ არჩევანს უკავშირდებოდა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გეგმით იყო გათვალისწინებული.

ამავდროულად, საეკლესიო წრეების თვალთახედვით, ეს ცვლილებები ქართულ ღირებულებებს საფრთხეს უქმნის – ისინი დასავლეთის „არანმინდა ღირებულებებად“ და იმ დიდი გეგმის ნაწილად მიიჩნევა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მართლმადიდებლური ტრადიციების დამცავის საკრალური როლი უნდა დაათმობინონ. მაგალითად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრისას, ევროკომისარ შტიფან ფულეს მოუწია განემარტა, რომ ევროკავშირის წევრობა ქართულ ტრადიციებს არ ეწინააღმდეგება და საფრთხეს არ უქმნის.<sup>11</sup>

მიუხედავად ზემოთაღნიშულისა, ეკლესია საქართველოს დასავლეთთან ინტეგრირების ღიად გაპროტესტებას მაინც ერიდება.<sup>12</sup> როცა საქმე ეხება ევროინტეგრაციასთან

დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გაცხადებას, სმე-ს პოზიცია ამბივალენტურია.<sup>13</sup> დასავლური ღირებულებების რალაც ნაწილის საჯაროდ დაგმობის მიუხედავად, პატრიარქმა ილია მეორემ რამდენჯერმე განაცხადა, რომ ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს.<sup>14</sup>

სმე-ს ზოგჯერ გაურკვეველი და წინააღმდეგობრივი პოზიცია ეჭვქვეშ აყენებს ეკლესიის როლს დემოკრატიზაციის პროცესში და იბადება შეკითხვა: რამდენად თავსებადია მისი იდეოლოგიური პოზიცია ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებთან? ასევე ჩნდება სხვა რამდენიმე კითხვაც: შეუძლია თუ არა სმე-ს საკუთარი წვლილის შეტანა დემოკრატიზაციასა და დასავლეთთან ინტეგრაციაში თუ ამ პროცესს ის მხოლოდ შეაფერხებს? რამდენად შესაძლებელია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ჰარმონიული ურთიერთობა? რა უნდა ვილონოთ იმისათვის, რათა ეკლესია პოზიტიურად ჩაერთოს ქვეყნის განვითარების პროცესში?

## სმე-ს თავსებადობა ლიბერალურ დემოკრატიაში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გავლენას ძირითადად ეროვნული იდენტობის დისკურსის საშუალებით ინარჩუნებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტრადიციებსა და ადათებს, რომლებსაც მართლმადიდებლური სარწმუნოების ჩარჩოებში აქცევს. მაგალითად, პატრიარქმა ილია მეორემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მოაზროვნის, ილია ჭავჭავაძის მიერ განსაზღვრული ეროვნული ღირებულებები — „მამული, ენა, სარწმუნოება“ შემდეგი სახით ჩამოყალიბებულიყო: „ღმერთი, მამული, ადამიანი“,<sup>15</sup> – ამით ნეიტრალური „რელიგია“ პრომართლმადიდებლური ღმერთის იდეით ჩანაცვლდა. ასე რომ, სმე-ს მიერ შემოთავაზებული ეროვნული იდეოლოგია ექსკლუზიური ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქრისტიანები, მაგრამ ეთნიკური არაქართველები, მაინც ქართველებად ითვლებიან, „არაქრისტიანული ცხოვრების (ცხოვრების სტილის) მიმდევარი ქართველები არ შეიძლება იყვნენ ქართული იდეის ნაწილი.“<sup>16</sup> ასე რომ, ეკლესიის მიხედვით „ქართველობა“ ორ სვეტზე დგას: სულიერებასა (ქრისტიანობა და ადათები) და ეროვნულ-კულტურულ ღირებულებებ-

ზე.<sup>17</sup>

ამასთანავე ეფუძნება რა მართლმადიდებლობის, როგორც უნიკალური და გამორჩეული ცივილიზაციის იდეას, სმე რელიგიათა შორის პრივილეგირებული სტატუსის მოპოვებას ცდილობს. პატრიარქმა 1997 წელს განაცხადა, რომ „მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია ინარჩუნებს ქრისტიანობის სწორ და თავდაპირველ სწავლებას.“<sup>18</sup> მიუხედავად იმისა, რომ სმე ქართველი ხალხის სახელით მოქმედებს, ის მაინც მხოლოდ ერთ რელიგიური უმრავლესობის ჯგუფს წარმოადგენს. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ანგარიშის<sup>19</sup> მიხედვით, ადგილობრივ მუსლიმებთან კონფლიქტების დროს, 2012 წლის შემოდგომაზე, ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში, ეკლესიამ ჩარევის შედეგად არა მხოლოდ სიტუაციის მონოპოლიზირება მოახერხა, არამედ ის მოთხოვნები, რომლებიც სამღვდლოებამ წამოაყენა, რელიგიური უმცირესობების უფლებებს არღვევდა.

ზოგადად სმე ამტკიცებს, რომ დემოკრატის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. თუმცა, ლიბერალიზმის ცნებასა და დემოკრატის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას

გამოხატავს: პატრიარქის თქმით, „სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგიის გარეშე ლიბერალიზმი“ „ფსევდოდემოკრატიაა“ და ქვეყნისათვის საფრთხეს წარმოადგენს.<sup>20</sup> სმე-ს წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში რამდენიმე პროდასავლელი პოლიტიკოსი ქართველი ერის უნიკალურობის წინააღმდეგ დემოკრატიის სახელით ილაშქრებს.<sup>21</sup> ამგვარად, სმე რელიგიური ნაციონალიზმის აღზევებას უწყობს ხელს,<sup>22</sup> რომელიც, მათი აზრით ქართველი ერის გადარჩენის ერთადერთი გზაა. ეს კი ნიშნავს, რომ კანონის უზენაესობა მხოლოდ მაშინ არის ღირებული, როდესაც ის მორალს დაეფუძნება. როგორც პატრიარქმა განაცხადა: „დღეს საქართველოში კანონის უზენაესობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგანაც მიღებული კანონები ხშირად განსაზღვრავს როგორც ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას, ასევე, ადამიანების სულიერ მდგომარეობას. [...] მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წმინდა კანონებს“.<sup>23</sup>

ზოგადად, ლიბერალიზმის იდეას ეკლესია უაღრესად კრიტიკულად უყურებს.<sup>24</sup> ის ერთგვარ პოსტმოდერნიზმად არის აღქმული, სმე ამ კონცეფციას განმარტავს, რო-

გორც სრულ თავისუფლებას, როცა ნებისმიერი ქმედება დაშვებულია, ასეთი ხედვა კი ქრისტიანობისთვის მიუღებელია. პატრიარქი ხშირად ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ ეს ორი მოსაზრება არსებითად ერთმანეთს ეწინააღმდეგება: „არჩევანის თავისუფლება ფსევდოლიბერალიზმში გულისხმობს იმას, რომ ყველა ღირებულება თანაბრად კარგია. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ არჩევანი, ის აგრეთვე გვასწავლის განსხვავებას კარგსა და ცუდს შორის, მე პატივს ვცემ თქვენს არჩევანს, მაგრამ არა ნებისმიერ არჩევანს. ქრისტიანობაში ყველაფერი ნებადართულია, თუმცა, ყველაფერი კარგი არ არის“.<sup>25</sup> სწორედ ეს პოზიცია უდევს საფუძვლად სმე-ს დამოკიდებულებებს და იმ ღირებულებებს, რომლებსაც ეკლესია ქადაგებს. მათ შორისაა შეუწყნარებლობა სექსუალური უმცირესობების მიმართ და გენდერული თანასწორობის მიუღებლობა. 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად შეკრებილი ორმოცდაათი აქტივისტის საწინააღმდეგოდ მიმართულ აქციას და ფიზიკურ დაპირისპირებას, სამღვდლოება მიუძღვოდა წინ ერისა და რელიგიურობის დაცვის



მიზნით. ფიზიკური დაპირისპირება ყველამ დაგმო, მაგრამ ეკლესიის მესვეურებმა ეს დღე „ოჯახის სიძლიერისა და მშობლების პატივისცემის დღედ“<sup>26</sup> გამოაცხადეს. მნიშვნელოვანია რომ, ქართული საზოგადოების რაღაც ნაწილი უმცირესობების უფლებებს საფრთხედ აღიქვამს: 2014 წელს პატრიარქმა ხმამაღლა ისაუბრა ამ შიშზე, როდესაც განაცხადა: „გვეუბნებიან, რომ უმცირესობების უფლებები უნდა იყოს დაცული, მაგრამ ვინ დაიცავს უმრავლესობას, ვინ დაიცავს ქართველ ხალხს?“<sup>27</sup>

სმე საკუთარ როლს სრულიად საქართველოს დამცველად ხედავს მართლმადიდებლური ქრისტიანობის ქოლგის ქვეშ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საპატრიარქო პრიორიტეტს ანიჭებს სრულიად საზოგადოებაზე პასუხისმგებლობას ინდივიდუალური გადარჩენის იდეის ხარჯზე. ამის ნათელი მაგალითია ეკლესიის იერარქების ქადაგებებში კოლექტიური ცნებების ხშირი ხსენება. მაგალითად, მოსაზრება, რომ ოჯახის ცნება ქართველი ერის საფუძველია, იმასაც ნიშნავს, რომ ისეთი იდეები, როგორიცაა გენდერული თანასწორობა და თანაბარი უფლებები სექსუალური უმცირესობებისთვის, ის საფრთხეა, რომელსაც ერის განადგურება შეუძლია.<sup>28</sup> აღსანიშნავია რომ,

ქართველმა ხალხმა ეკლესიას ბევრჯერ დაუდასტურა ნდობის მაღალი ხარისხი, რაც აძლიერებს ეკლესიის ნარატივს, როგორც ინსტიტუტისას, რომელსაც შეუძლია საზოგადოებას მორალური სტანდარტები და ქცევის წესები უკარნახოს.<sup>29</sup> სმე-ს ხალხის მობილიზების უნარი კარგად გამოჩნდა 2011 და 2013 წლებში სამღვდელოების გარკვეული ნაწილის მიერ ორგანიზებული დემონსტრაციების დროს. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო ის, რომ პატრიარქის მოწოდება სიმშვიდისკენ საკმარისი აღმოჩნდა გამპროტესტებლებისთვის შინ დასაბრუნებლად. ასევე საყურადღებოა რომ, სოციალური კონფლიქტების დროს ქართველი ხალხი ეკლესიის მხარეს დგება. 2011 წლის პროტესტების შემდეგ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ სამღვდელოების წარმომადგენლების წინამძღოლობით გამართული დემონსტრაციების შემდეგ, მოსახლეობის 80%-მა მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ პარლამენტს კანონის მიღებამდე საპატრიარქოსათვის უნდა ეკითხა რჩევა.<sup>30</sup> ეს ვითარება გვიჩვენებს, რომ ქართული საზოგადოების აზრი წინააღმდეგობრივია და იხლიჩება ურთიერთდაპირისპირებულ ცნებებს – დემოკრატიასა და ტრადიციებს შორის, რომელებიც რელიგიურ დისკურს-

შია წარმოდგენილი. ქართველების უმრავლესობა დემოკრატია უჭერეს მხარს, მაგრამ ეს დემოკრატია უპირობო არ არის: CRRC-ის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ როდესაც დემოკრატიასთან დაკავშირებული ღირებულებები ტრადიციებს ეჯახება, რესპონდენტები ელიან, რომ მთავრობა პრიორიტეტს თავისუფლების ნაცვლად ტრადიციებს მიანიჭებს.<sup>31</sup> მაგალითად, გამოკითხულთა დიდმა რაოდენობამ მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ მთავრობამ ტრადიციების საწინააღმდეგო ნებისმიერი ინფორმაციის ბეჭდვა უნდა შეზღუდოს. გამოკითხულთა უფრო ნაკლები რაოდენობა მიიჩნევდა, რომ გადანყვეტილება ნებისმიერი ინფორმაციის გამოქვეყნების თაობაზე გამომცემლის პირადი პასუხისმგებლობაა და მთავრობა არ უნდა ჩაერიოს. მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ ორი რამ. პირველი ის, რომ ეკლესია სულაც არ გახლავთ ჰომოგენური დანესებულება. მიუხედავად იმისა, რომ სამღვდელოების

უმრავლესობა იმეორებს პატრიარქისა და მაღალი საეკლესიო იერარქების მოსაზრებებს, მაინც არსებობენ ინდივიდები, ვისი შეხედულებებიც განსხვავდება დომინანტური ჯგუფისაგან და უფრო ახლოს დგას ლიბერალურ იდეებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ სმე-ს ხელმძღვანელობა ქადაგებს რამდენიმე პოლიტიკური და სამოქალაქო ღირებულების შესახებ, რომლებიც შეიძლება დემოკრატიზაციას დაუკავშიროთ. მათ შორისაა მონოღება, რომ ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა კანონების მიღების პროცესში,<sup>32</sup> პატრიარქი საუბრობს განათლებასა და შრომის მნიშვნელობაზე, ასევე წესრიგის დაცვის, სახელმწიფოს მიმართ პატივისცემისა და სახელმწიფოს საკუთრების მოფრთხილების შესახებ, რაც კეთილი ნების შემთხვევაში გარკვეულ პირობებს ქმნის ეროვნული დიალოგისთვის ყველა დაინტერესებული მხარის (სახელმწიფო, მართლმადიდებელი ეკლესია, სამოქალაქო საზოგადოება) მონაწილეობით.

## სმე-ს სოციალური და ეკონომიკური საქმიანობა

სმე-ს აქტიურობა სოციალური საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის აღსანიშნავია განათლება, ქველმოქმედება და სოციალური ფონდები. ეკლესია ასევე ჩართულია ბიზნესში. 2014 წლის მონაცემებისა და უახლესი ინფორმაციის მიხედვით, საპატრიარქომ დაარსა სულ ცოტა 84 არაკომერციული იურიდიული ერთეული, მათ შორისაა ოთხი უნივერსიტეტი, ხუთი სასულიერო აკადემია, 25 სკოლა, 8 სოციალური ცენტრი, 16 საქველმოქმედო და საგანმანათლებლო ფონდი და 16 კულტურული და სასულიერო დაწესებულება. მათ შორის არის ათი თავშესაფარი, სადაც 1000-1500 ბავშვი ირიცხება, ასევე საქველმოქმედო ცენტრები ხანდაზმული ადამიანებისათვის ისეთები, როგორცაა თავშესაფრები და უფასო სასადილოები.<sup>33</sup> საპატრიარქო ასევე მუშაობს სოციალურ თემატიკაზე, მაგალითად აქვს ნარკოდამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრი და ასევე ცენტრი სმენის არმქონე ბავშვებისთვის. ამას გარდა, სმე-მ გააფორმა ხელშეკრულება იუსტიციის სამინისტრო-

სთან, რათა იმუშაოს პრობაციაში მყოფ და გათავისუფლებულ პატიმრებთან,<sup>34</sup> რომელთაც საპატრიარქო, მაგალითად, ეკლესიების მშენებლობაზე ასაქმებს.<sup>35</sup>

თუმცა, მწირი ინფორმაცია და ბიუჯეტის გაუმჭვირვალობა ართულებს ეკლესიის მიერ ჩატარებული საქველმოქმედო სამუშაოების შეფასებას. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ეკლესია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 25 მილიონს იღებდა. 2013 წლის ერთ-ერთი ანგარიში გვიჩვენებს, რომ საბიუჯეტო გადარიცხვების 75% იხარჯება რელიგიურ განათლებაზე. თუმცა, ანგარიში არ არის დეტალური და თან არ ახლავს სრული დოკუმენტაცია. მეორე მხრივ, იმ თანხებიდან, რასაც საპატრიარქო იღებს მუნიციპალური ფონდებიდან, მხოლოდ 1% იხარჯება სოციალურ პროექტებზე, 19% ეკლესიების მშენებლობასა და მორთულობაზე და 8% – რელიგიური რიტუალებისთვის საჭირო საგნების შენაძენზე. ინფორმაცია დანარჩენი თანხების ხარჯვაზე ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი.<sup>36</sup>

## დასკვნა და რეკომენდაციები

ნათელია, რომ სმე-ს იდეოლოგიის რამდენიმე ასპექტი უფრო ენიხანაღმდეგება, ვიდრე ხელს უწყობს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს. მიუხედავად ამისა ქართულ საზოგადოებაში ეკლესიის დიდი ავტორიტეტი და ძლიერი პოზიცია გვაფიქრებინებს, რომ ეკლესიის ჩართვა ქვეყნის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში უმნიშვნელოვანესია. მნიშვნელოვანია არ უნდა მოხდეს სმე-ს იზოლირება ქვეყნის განვითარების და დასავლეთთან ინტეგრირების გზაზე. მაგრამ ამავე დროს, ეკლესია უნდა ჩაერთოს ისე, რომ პროცესებზე დადებითი გავლენა იქონიოს. ეკლესიას საკმარისზე დიდი ძალაუფლება აქვს იმისთვის, რათა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ განწყობაზე, ასევე შეუძლია მოსახლეობის ორგანიზება ისე, რომ შედეგად რაღაც შეიცვალოს, რასაც თავის მხრივ, ცვლილებები მოაქვს საზოგადოებრივ დონეზე. არსებობს რამდენიმე გზა იმისათვის, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებმა და მთავრობამ ეს დადებითად გამოიყენონ. თუმცა, ლიბერალურ დემოკრატიასთან ეკლესიის დამოკიდებულების გათვალისწინებით საპატრიარქოსთან მუშაობა გამჭვირვალე და ღია უნდა იყოს. თეორიულად,

თანამშრომლობა შეიძლებოდა შემდგარიყო მთავრობის ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ ფორუმის ორგანიზებით, სადაც დიალოგში ჩაერთვებოდნენ ღია ჯგუფები სმედან და სხვა რელიგიური ორგანიზაციებიც. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ეკლესიასთან და სამღვდელოების მაღალ იერარქიასთან კომუნიკაციის ღია საშუალებების შენარჩუნება, ძირითადად იმისათვის, რომ მათ ინფორმაცია მივანოდოთ და ჩავართოთ ისეთ დისკუსიებში, რომლებიც საფუძველს ჩაუყრის ურთიერთგაგებას დემოკრატიული ღირებულებების მნიშვნელობის შესახებ. რეალურად, მთავრობასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გარკვეული ინსტიტუციონალური ურთიერთობა უკვე არსებობს, თუმცა, ის ამ ანგარიშში დასახულ მიზნებს არ ემთხვევა. 2012 წელს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით გათვალისწინებული საკითხების მოსაგვარებლად, სადაც შედიან სამღვდელოებისა და მთავრობის წევრები. მაგრამ მისი სამუშაო ჯგუფები ფოკუსირებული არიან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საზღვარგარეთ არსებული ტაძრების სტატუსის დადგენა და კულტურის ძეგლების

შესწავლა.<sup>37</sup> არსებობს კიდევ ერთი ორგანო – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც 2014 წელს დაარსდა იმ მიზნით, რომ პრემიერ-მინისტრს რჩევები მიანოდოს რელიგიური პოლიტიკის შესახებ. მათი პროექტები ჯერ არ არის დაზუსტებული და მიუხედავად იმისა, რომ სააგენტომ უკვე გამართა რამდენიმე შეხვედრა ეკლესიის იერარქებთან, უცნობია, რამდენად ინფორმაციულია ეს შეხვედრები ეკლესიისთვის — კერძოდ კი, ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც დემოკრატიულ ღირებულებებსა და საგარეო პოლიტიკას ეხება. ასევე გაურკვეველია რა ფორმით და რამდენად ხშირად იმართება ეს შეხვედრები.<sup>38</sup>

არსებობს რამდენიმე გზა, რომლითაც ქართულ სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დემოკრატიზაციის პროცესებში ჩართონ:

1. სახელმწიფო და სმე უნდა ჩაერთონ ინსტიტუციონალიზებულ დიალოგში, რათა მოხდეს სმე-ს ინფორმირება სახელმწიფო ხედვებისა და მიზნების შესახებ:
  - პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უნდა დაგეგმოს ყოველწლიური შეხვედრები ეკლესიის მესვეურებთან, სადაც

განიხილავენ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს ან სხვა საჯარო ინტერესის მქონე რელევანტურ საკითხებს;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში უნდა დაიწყონ შეხვედრები ეკლესიის მაღალ იერარქებთან, რათა გაუზიარონ დამოკიდებულებები/მოსაზრებები საქართველოს ევროატლანტიკური კურსის შესახებ და გაცვალონ ინფორმაცია.
2. ევროკავშირის სათანადო სტრუქტურების წარმომადგენლები და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია უნდა იყვნენ ჩართული მუდმივი დიალოგის პროცესში, რათა ეკლესიას ჰქონდეს პირდაპირი ინფორმაცია საქართველოს მომავალი განვითარებისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ:
    - საქართველოში მყოფმა ევროკავშირის წარმომადგენლებმა შეხვედრებზე უნდა მიიწვიონ ეკლესიის იერარქები რელიგიურ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ, რათა არ მოხდეს სმე-ს

გაუცხოვება. ეს უზრუნველყოფს ევროპის იმიჯის შენარჩუნებას და უზრუნველყოფს სწორი ინფორმაციის გავრცელებას ევროკავშირის ღირებულებების შესახებ.

- ევროკავშირის წარმომადგენლებმა საქართველოში ჩამოსვლისას უნდა გამართონ პატრიარქთან დიალოგი ზუსტად ისევე, როგორც ესაუბრებიან საქართველოს მთავრობას, რათა ქართულმა ეკლესიამაც მიიღოს ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგის შესახებ.

3. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის უნდა დაიწყოს დიალოგი საზოგადოებრივ და სათემო საკითხებთან დაკავშირებით, რათა აღნიშნულ სფეროებში გაიზარდოს ეფექტურობა:

- საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ეკლესიასთან ერთად იმუშაონ რიგ საზოგადოებისთვის მნიშ-

ვნელოვან საკითხებზე (სანიტარული პირობების გაუმჯობესება, მწვანე საფარის მოვლა, სხვა საერთო ყოფითი პრობლემები), მათ შორის განათლებასა და განვითარებისთვის თანხების მოძიებაზე.

- საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ორგანიზება გაუწიონ ეკლესიასთან ერთობლივ ღონისძიებებს და ჩაუტარონ ტრენინგები მოსახლეობას სხვადასხვა უნარ-ჩვევების შესასწავლად, აგრეთვე დაეხმარონ პროფესიების ათვისებაში, რადგან ეკლესია უკვე ახორციელებს მსგავს პროექტებს, მაგალითად აქვს კურსები სხვადასხვა ხელობის შესასწავლად.
4. სახალხო დამცველის აპარატი უნდა წამოიწყოს მუდმივმოქმედი დიალოგი სმე-სა და საქართველოში არსებული დენომინაციების წარმომადგენელთა შორის, რათა მათი ურთიერთობა გაუმჯობესდეს, ხოლო დაპირისპირება – შემცირდეს.

## ბიბლიოგრაფია:

- <sup>1</sup> Civil.ge. (5.12. 2015). „ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს სურს მოიპოვოს შეწყალების უფლება“. ხელმისაწვდომია აქ: <http://civil.ge/eng/article.php?id=28832>
- <sup>2</sup> Akkoc, R. (13.05.2015). რუკაზე - მსოფლიოს ყველაზე რელიგიური ქვეყნები. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/11530382/Mapped-These-are-the-worlds-most-religious-countries.html>
- <sup>3</sup> CRRC. (2013). კავკასიის ბარომეტრი, საქართველო. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.crrc.ge/oda>
- <sup>4</sup> CRRC. (2014). მოხალისეობა და სამოქალაქო მონაწილეობა საქართველოში. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.crrc.ge/oda>
- <sup>5</sup> დ. აფრასიძე (2009). დემოკრატიზაციასა და მოდერნიზაციაში დაკარგულები. რა ელის საქართველოს? ხელმისაწვდომია აქ: <http://www.css.ethz.ch/publications/pdfs/CAD-2-9-11.pdf>
- <sup>6</sup> საკონსტიტუციო შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, (2002) ხელმისაწვდომია აქ: <https://forbcaucasus.files.wordpress.com/2014/08/concordat.pdf>
- <sup>7</sup> ბარტელსმანი. ტრანსფორმაციის ინდექსი, საქართველო, 2014 წელი. ხელმისაწვდომია აქ: [http://www.bti-project.org/uploads/tx\\_itao\\_download/BTI\\_2014\\_Georgia.pdf](http://www.bti-project.org/uploads/tx_itao_download/BTI_2014_Georgia.pdf)
- <sup>8</sup> Civil.ge (7.11.2011) რელიგიური გაერთიანებების სტატუსზე მიღებულმა ცვლილებამ კანონის სახე მიიღო. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=23711>
- <sup>9</sup> Civil.ge. (20.05.2015) ქართული ეკლესია ენტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ გამოდის. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=27175>
- <sup>10</sup> ე. ჯანაშია. საქართველო ანტიდისკრიმინაციულ კანონს ამტკიცებს. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.caci-analyst.org/publications/field-reports/item/12978-georgia-endorses-anti-discrimination-law.html>
- <sup>11</sup> Civil.ge. (4. 03. 2014). ევროკომისარი საქართველოს სტუმრობს. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=27006>
- <sup>12</sup> კ.კაკაჩია (2014) არის თუ არა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დაბრკოლება ევროპული ღირებულებებისთვის? ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ponarseurasia.com/memo/georgia%E2%80%99s-orthodox-church-obstacle-european-values>
- <sup>13</sup> ტ. გრძელიძე (2010) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია: დემოკრატიისა და თავისუფლების გამონვევები (1990-2009). ქრისტიანული ეკლესიის კვლევის საერთაშორისო ჟურნალი, მე-10 ტომი, გამოცემა 2-3, 2010 გვ. 160-175
- <sup>14</sup> Civil.ge. (4.03. 2014). პატრიარქი: ეკლესია გააკეთებს ყველაფერს რათა საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=27008>
- <sup>15</sup> პატრიარქის ქადაგება (23.03.2014) [ვიდეო]ხელმისაწვდომია აქ: <https://www.youtube.com/watch?v=JZ-KZ0kQGfbs>
- <sup>16</sup> სააღდგომო ეპისტოლე (2011). ხელმისაწვდომია აქ: <http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgom2011.htm>
- <sup>17</sup> ტ. კახაძე. (2014). საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ეპისტოლეების ანალიზი. EMC. ხელმისაწვდომია

აქ: <http://goo.gl/9ipsLm>

<sup>18</sup> საქართველოს ლესპუბლიკა. (1997). სულიერების ზღვარზე: ინტერვიუ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან. ამოღებულია არქივიდან.

<sup>19</sup> EMC (5.12.2013) სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტური ჯგუფების მიმართ. ხელმისაწვდომია აქ: <http://emc.org.ge/2013/12/05/913/>

<sup>20</sup> თ. კახაძე. დანართი

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> იხილეთ მეტი: პ. კრეგო (1994) რელიგია და ნაციონალიზმი საქართველოში. პერიოდული დოკუმენტები რელიგიაზე აღმოსავლეთ ევროპაში. ტომი 14, გამოცემა 3. ხელმისაწვდომია აქ: <http://digitalcommons.georgefox.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1847&context=ree>

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იხილეთ მეტი. ე. გავაშელიშვილი (2012) ანტიმოდერნული და ანტიგლობალისტური ტენდენციები ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში. იდენტობის კურსი. ტომი 4. ხელმისაწვდომია აქ: <http://ojs.iliauni.edu.ge/index.php/identitystudies/issue/current>

<sup>25</sup> საშობაო ეპისტოლე (2014) <http://www.tabula.ge/ge/story/78833-ilia-meoris-2014-tslis-sashobao-epistole>

<sup>26</sup> Civil.ge. (16.05.2014) 17 მაისს დაიგეგმა ოჯახის დღის აღსანიშნავი მსვლელობა „გეი პროპაგანდის წინააღმდეგ. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=27237>

<sup>27</sup> ილია მეორის ქადაგება სამების კათედრალში (13.04.2014) [ვიდეო]ხელმისაწვდომია აქ: <http://www.interpressnews.ge/ge/video.html?view=video&video=1764>

<sup>28</sup> საშობაო ეპისტოლე, 2014.

<sup>29</sup> IRI-ის კვლევების მიხედვით 2015 წლის თებერვალს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არის ყველაზე დიდი ნდობით აღჭურვილი დაწესებულება საქართველოში, 91%-მხარმდაჭერი. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.iri.org/resource/iri-georgia-poll-georgians-are-less-optimistic-continue-desire-deeper-ties-west-wary>

<sup>30</sup> ბ. ჯანელიძე (2015). სეკულარიზაცია და დესეკულარიზაცია საქართველოში: სახელმწიფო და ეკლესია სააკაშვილის მთავრობის დროს. ა. ალაჯანიანი, ა. ჯოდუკე და ე. ზვირდე (2015). რელიგია, ერი და დემოკრატია სამხერთ კავკასიაში. Routledge, ნიუ იორკი.

<sup>31</sup> CRRC. (12.11.2015) ცხრა რამ რაც პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ ქართველი ამომრჩევლების შესახებ. სოციალური მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში. ხელმისაწვდომია აქ: <http://crrc-caucasus.blogspot.hu/2015/11/nine-things-politicians-should-know.html>

<sup>32</sup> კახაძე.

<sup>33</sup> ს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“(5.09.2014) საქართველოს საპატრიარქოსთან დაკავშირებული ბიზნესკომპანიები და სხვა ორგანიზაციები.ხელმისაწვდომია აქ: <http://www.transparency.ge/blog/sakartvelos-sapatrarkostan-dakavshirebuli-bizneskompaniebi-da-skhva-organizaciebi?page=1>

<sup>34</sup> შეთანხმება, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის პრობაციონერთა და არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სფეროში,(2006) ხელმისაწვდომია აქ: <http://www.orthodoxy.ge/samartali/shetankhmeba.htm>

<sup>35</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. (8.04.2013) პრობაციონერები ეკლესიის



მშენებლობაში მონაწილეობენ. ხელმისაწვდომია აქ: <http://moc.gov.ge/ka/news/2013/04/1013>

<sup>36</sup> EMC, (2014) რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ. ხელმისაწვდომია აქ: <http://emc.org.ge/2014/10/08/the-practice-of-the-funding-of-the-religious-organizations-by-the-central-and-local-government/>

<sup>37</sup> საქართველოს მთავობის დადგენილება №63 (21.02.2012) ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1593397>

<sup>38</sup> რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. ხელმისაწვდომია აქ: <http://religion.geo.gov.ge/geo/home>

ქართული დემოკრატია გამოწვევების  
პირისპირ: ინტეგრირებული  
დასავლეთი, რუსეთის ზეწოლა  
და მათი გავლენა დემოკრატიულ  
პროცესებზე

პოლიტიკის დოკუმენტი II

თებერვალი 2016



## მოკლე შინაარსი

2016 წლის ამერიკის სადაზვერვო სამსახურის მიერ ჩატარებულმა მსოფლიო საფრთხეების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველომ შეიძლება ზურგია აქციოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და რუსეთისკენ გადაიხაროს.<sup>1</sup> ამის მიზეზად ქმედითი რუსული პროპაგანდა და დასავლეთთან ინტეგრაციის ნელი ტემპით მიმდინარეობის გამო მოსახლეობის მზარდი ფრუსტრაცია სახელდება. ქართველებს შორის ანტიიმიგრაციული და ანტირუსული განწყობები ისევ დომინანტურია, თუმცა, რუსეთის მზარდი პოპულარობა აჩვენებს, რომ საფრთხე, თბილისმა პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაზე და მის თანმდევ დემოკრატიულ რეფორმებზე თქვას უარი, რეალურია. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა ეს სცენარი ვერ განხორციელდეს და რა შეიძლება მოიმოქმედოს დასავლეთმა, საქართველოს ხელისუფლებასთან და სამო-

ქალაქო საზოგადოებასთან ერთად, ამ პროცესი შესაჩერებლად?

არსებობს რწმენა რომ დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის რთულ გზაზე მდგარი საქართველო შეიძლება დაძლიოს იმედეგაცრუება, ასევე შეიძლება შეაჩეროს ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ არსებული იმ ანტილიბერალური აქტორების ზეგავლენა, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს ეწინააღმდეგებიან. აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია ის, თუ რა უნდა მოიმოქმედონ ამისთვის, ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამ და მეორე მხრივ – დასავლურმა სახელმწიფოებმა და ინსტიტუტებმა.

პირველ ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლება ბევრად უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს დასავლელი პარტნიორების რჩევებს, გაატაროს რეფორმები და აქტიურად შეენიანაღმდეგოს

\* ბიძინა ლეზანიძე – ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის მკვლევარი, ბერლინის ეკონომიკისა და სამართლის სკოლის მინვეული ლექტორი; საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი.

ანტიდასავლურ და ანტიდემოკრატიულ დისკურსებს. ამას გარდა, ევროკავშირმა და აშშ-მ მეტად უნდა იაქტიურონ რიგ საკითხებში. კერძოდ, ევროკავშირმა უფრო ეფექტურად უნდა წარუდგინოს საკუთარი იმიჯი საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოს ხელისუფლებისგან უფრო მეტი დაბეჯითებით მოითხოვოს დემოკრატი-

ული რეფორმების გატარება. ამავე დროს, მან მხარი უნდა დაუჭიროს პროდასავლურ პოლიტიკურ ძალებს ხელშესახები და მოკლევადიანი სარგებლის შეთავაზებით. მთლიანობაში, დემოკრატიზაცია და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოში ურთიერთგადაჯაჭვულია და ერთის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია მეორე.

## შესავალი

2015 წელს პოლონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა თქვა: „საქართველო აღმოსავლეთის პარტნიორობის გამოკვეთილი ლიდერია. ეს არ არის პირფერობა. ეს ფაქტია“.<sup>2</sup> მხოლოდ ტუსკი არ ფიქრობს ასე. საქართველო ხშირად აღიქმება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო დასავლური ორიენტაციის მქონე ევროკავშირის არანეგრი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ქვეყანა, სადაც ორივე – ხალხი და პოლიტიკური ელიტებიც პროევროპულად არიან განწყობილნი. მიუხედავად იმისა რომ, ნატომ არ შესთავაზა განწვერიანების სამოქმედო გეგმა (მაპი) და ევროკავშირმა ბოლომდე ვერ გაამართლა საქართველოს იმედები განწვერიანებაზე კონკრეტული დაპირებების შეთავაზებით, ქართული საზოგადოების პროევროპული განწყობები არ


შეცვლილა. 60%-ზე მეტი ქართველი ახლაც მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში, თუმცა, აღსანიშნავია რომ ეს რიცხვი უკანასკნელ ხანს ოდნავ შემცირდა.<sup>3</sup> საბოლოოდ, მიუხედავად რიგი წარუმატებლობებისა, საქართველო დემოკრატიული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმების მხრივ რეგიონში ლიდერი ქვეყანაა და აშკარაა, რომ ქართული პოლიტიკური კლასი მცდელობას არ აკლებს დააჩქაროს ევროკავშირის სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაცია, რამდენადაც იძლევა ამის შესაძლებლობას არსებული სიტუაცია. თუმცა, ყველაფერი არც ისე კარგადაა, როგორც ერთი შეხედვით მოჩანს. მართალია, ქვეყნის ევროპული იდენტობა საქართველოს პოლიტიკური დისკურსის უდავო ნიშანია, რომელსაც ერთნაირად იზიარებს რო-

გორც პოლიტიკური ელიტა, ასევე ხალხიც, დემოკრატიზაციის არსი და ლიბერალურ-დემოკრატიული შეხედულებები ბოლომდე არ არის ცხადი როგორც საზოგადოებისთვის, ისე პოლიტიკური კლასისთვის. პოლიტიკური ელიტები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ხელისუფლებაშია, როგორც წესი, საკუთარი ძალაუფლების გამყარებაზე არიან ორიენტირებულნი, რაც ხშირად აყენებს საფრთხის ქვეშ მათ ერთგულებას დემოკრატიული ღირებულებებისადმი და დასავლეთისადმი. თვით მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, მყარად პროევროპული და დასავლეთში განსწავლული პოლიტიკური ელიტის მიერ გატარებული რეფორმები უფრო ავტორიტარული იყო, ვიდრე დემოკრატიული. ამას გარდა, ქართულ საზოგადოებაში ანგარიშგასაწევ ჯგუფებს დღესაც სჯერათ, რომ ლიბერალური ღირებულებები საფრთხეს უქმნის ქართულ ეროვნულ იდენტობას.

ეს განწყობები დამატებით იკვებება ანტი-ლიბერალური და პრორუსული ეროვნული აქტორებით მედიაში, საზოგადოებასა და სამღვდელოებაში, რომლებიც დასავლეთს

წარმოსახავენ, როგორც დეკადენტურ და ჰედონისტურ ცივილიზაციას, რომელიც ქართული იდენტობის ტრადიციულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება.

კიდევ უფრო შემამფოთებელია ის, რომ გაურკვეველი ვადითაა გადადებული ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება, რაც წნეხის ქვეშ ამყოფებს ქართულ პროევროპულ პოლიტიკურ ძალებს და ზრდის რუსეთისა და ევრაზიული კავშირის პოპულარობას. ევრაზიული კავშირის მხარდამჭერთა რიცხვი სამი წლის მანძილზე, 10%-იდან 31% მდე გაიზარდა.<sup>4</sup> მიუხედავად იმისა რომ პრო-რუსული ხელისუფლების მოსვლის საფრთხე ახლო მომავალში არ არსებობს, შესაძლოა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებული „პროდასავლური პოლიტიკური კონსენსუსი“ უკვე მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე დასრულდეს.<sup>5</sup> რუსეთის მზარდი როლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა არც საქართველოს მოსახლეობისთვის. 2015 წლის აგვისტოს NDI-ს კვლევის მიხედვით რუსეთის გავლენა 17%-ით გაიზარდა, ხოლო ევროკავშირის გავლენა 12%-ით შემცირდა (ცხრილი 1.).



თუმცა, პრორუსული განწყობების ზრდას შიდა პოლიტიკური მიზეზებიც აქვს. სააკაშვილის მმართველობის დროს ხელისუფლება ანტირუსულ პოლიტიკას საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად იყენებდა და ამით ცდილობდა ოპოზიციის დაშინებას და დემონიზაციას, რომელსაც წარმოადგენდა, როგორც პრორუსულ ტროას ცხენს, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტს ემუქრება.

2012 წელს, ხელისუფლების დემოკრატიულად შეცვლის შემდეგ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ანტირუსულ რიტორიკაზე უარი თქვა. თუმცა უკანასკნელ

სამი წლის მანძილზე მოქმედი ხელისუფლება არ იყო თანამიმდევრული დასავლეთის მიმართ. უფრო მეტიც, ხშირად ადანაშაულებდა დასავლეთს ერთი მხრივ, წინა ხელისუფლების ლობირებაში და მეორე მხრივ, იმაში, რომ დასავლეთი ხელს აფარებდა წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დანაშაულებებს.<sup>6</sup> ამას გარდა, მმართველი კოალიციის რამდენიმე წარმომადგენელმა ღიად გამოთქვა სურვილი საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაერთიანების შესახებ.<sup>7</sup> მართალია ეს განცხადებები მხოლოდ კონკრეტული ინდივიდების კერძო მოსაზრებებია, მაგრამ ისინი ხელს უშლის

ქართული ოცნების (ქო) ხელისუფლების პროდასავლური საგარეო კურსის უალტერნატივობას და ზრდის პრორუსული პოლიტიკური პარტიების და აქტორების ლეგიტიმაციის შესაძლებლობებს.

ცხრილი 1: მთლიანობაში, ევროკავშირის/რუსეთის გავლენა საქართველოში, გაიზარდა, შემცირდა თუ დარჩა უცვლელი 2012 წლის შემდეგ? (%) (NDI-CRRC კვლევა, აგვისტო 2015)<sup>8</sup>

2012 წლის ხელისუფლების ცვლილების შემდეგ საქართველო ახალი შესაძლებლობის და ახალი რისკების წინაშე აღმოჩნდა. ზოგადად რუსეთთან სიტუაციის დალაგებამ შესაძლოა მეტი სტაბილურობის შეგრძნება შექმნას და გარკვეულწილად წაადგეს კიდევ ქვეყნის შიგნით რეფორმების გატარების პროცესს, მაგრამ არსებობს სერიოზული რისკი რომ რუსეთთან მიმართებაში საზოგადოებრივი აზრის და ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის კურსის ცვლილება ნეგატიურად იმოქმედებს საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესებზე.

ისეთ განვითარებად ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა, დემოკრატიის კონსოლიდაციისა და სახელმწიფო მმართველობის რეფორმების გასატარებლად, როგორც წესი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აქ-

ტიური საგარეო მხარდაჭერა. დასავლეთის შესუსტებული ზენოლის გამო, რუსეთის პირისპირ მარტო დარჩენილი საქართველოს პრორუსული ხელისუფლება ნაკლებად მონინდომებს დემოკრატიული რეფორმების გატარებას. ამას გარდა, რუსეთი არ არის დაინტერესებული, საკუთარ საზღვრებთან წარმატებული დემოკრატიული ქვეყნები ჰყავდეს. სამეზობლოში წარმატებული დემოკრატიული ქვეყანა კითხვებს გააჩენს პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული ავტორიტარული რეჟიმების მიმართ და დაამტკიცებს, რომ პოსტსაბჭოთა საზოგადოებებს შეუძლიათ რეალური დემოკრატიის აშენება, რაც კრემლის ავტორიტარული რეჟიმისთვის საფრთხეს წარმოადგენს. დაბოლოს, მხოლოდ ევროკავშირი და აშშ არიან ის საგარეო აქტორები, ვისაც მესამე ქვეყნებში დემოკრატიის ხელშეწყობის გამოცდილება აქვთ, რაც ბალტიის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ დაამტკიცა.

ყველა პოსტსოციალისტურმა ქვეყანამ, რომელიც დღეს დემოკრატიულია, ამას ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის გავლით მიაღწია. უდავოა, რომ ევროპული ინტეგრაციისა და დემოკრატიზაციის პროცესები მჭიდროდაა გადაჯაჭვული. საქართვე-



ლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დემოკრატიის პროცესების დაჩქარება, თუკი პროევროპულ საგარეო პოლიტიკურ კურსს შეინარჩუნებს.

ამასთანავე საყურადღებოა რომ უკანსაკნელი წლების განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ რეფორმებს სამი ძირითადი მიზეზი აფერხებს: დასავლელი აქტორების მიერ დემოკრატიული რეფორმების სუსტი მხარდაჭერა, რეფორმების მონინააღმდეგეთა, პრორუსული აქტორების გაძლიერება, რომელთაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის განვლვის გამო თავს მყარად გრძნობენ; და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის არარსებობა მმართველ ძალებს (ძველი და ახალი) შორის, რომელთაც ხშირად საზოგადოებრივს პირად ინტერესებს არჩევენ და კონცენტრირებულნი არიან ძალაუფლების შენარჩუნებაზე და არა – დემოკრატიული

ინსტიტუტების განმტკიცებაზე. აღნიშნულ დოკუმენტში ეს სამი მიზეზი დეტალურადაა განხილული.

შემდეგ თავში საუბარია დასავლეთის ინტერესებსა და იმედებზე საქართველოს მიმართ და საქართველოს ძველი და ახლანდელი ხელისუფლებების უუნარობაზე ბოლომდე პოზიტიურად ეპასუხათ ამ მოლოდინებისთვის. დოკუმენტი ასევე განიხილავს დასავლეთის სტრატეგიის ნაკლოვანებებს და იძლევა რეკომენდაციების მათ აღმოსაფხვრელად. მესამე ნაწილში გაანალიზებულია რუსეთის რბილი ძალის გავლენის ზრდა და მოცემულია მასთან გამკლავების გზები. პოლიტიკის დოკუმენტი სრულდება როგორც საქართველოს ხელისუფლებითა და სამოქალაქო საზოგადოებისადმი, ასავე ევროკავშირის და დასავლელი პოლიტიკოსებისადმი მიმართული რეკომენდაციების ნუსხით.

## დასავლეთის ინტერესები საქართველოში

ევროკავშირისა (და აშშ-ს) სურთ, მათმა მეზობელმა სახელმწიფოებმა, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა, შექმნან „მეგობარი ქვეყნების რკალი“,<sup>9</sup> ძალადობრივი კონფლიქტების, დისფუნქციური საზოგადოების და ორგანიზებული დანაშაულის

მაღალი რიცხვის გარეშე.<sup>10</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროკავშირში სჯერათ, რომ მათი საკუთარი უსაფრთხოება ყველაზე უკეთ მეზობელი ქვეყნების სტაბილურობითა და კეთილდღეობით გამყარდება.<sup>1</sup> უსაფრთხოებისა და სტრატეგიული ინ-

ტერსების ევროპული გაგება რადიკალურად განსხვავდება რუსეთის წარმოდგენებისაგან. რუსული რეჟიმის მთავარი მიზანია პოსტსაბჭოთა ქვეყნები კონტროლის ქვეშ ჰყავდეს, და არ დაუშვას საკუთარ საზღვრებთან წარმატებული და დემოკრატიული ქვეყნების არსებობა, რათა ისინი ერთ დღეს რუსეთის მოსახლეობისათვის მაგალითად არ იქცნენ.<sup>12</sup> ამგვარად, „რუსეთი [...] აქტიურად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ცვლილებს პერიფერიებზე“.<sup>13</sup> ედვარდ ლუკასი ასე აფასებს განსხვავებას რუსეთსა და ევროკავშირს შორის: რუსეთს სუსტი და არასტაბილური მეზობლები სურს. რუსეთის უსაფრთხოების კონცეფცია მეზობელ ქვეყნებზე რუსეთის ძლიერ გავლენას ეფუძნება. სწორედ ამით განსხვავდება ის ფუნდამენტალურად ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესისგან, რომელსაც სურს აღმოსავლეთის საზღვრებთან ძლიერი, დამოუკიდებელი და წარმატებული ქვეყნები ჰყავდეს.<sup>14</sup>

საქართველო ევროკავშირის მიერ აღიქმება, როგორც პერსპექტიული მეზობელი აღმოსავლეთის სამეზობლოში.<sup>15</sup> ის დაინტერესებულია საქართველოში სახელმწიფოებრიობის გამყარებით და აქ გატარებულ დემოკრატიულ და ეკონომიკურ რეფორმებს

წარმატებულად მიიჩნევს. თუმცა, ბრიუსელში ასევე ესმით რომ მართალია საქართველომ ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმები წარმატებით გაატარა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებები ნაკლებ მგრძობელობას იჩენდნენ დემოკრატიზაციის მიმართ.

მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთის პარტნიორობის (EaP) რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დასავლეთი უყურებდა საქართველოს როგორც დასავლური დემოკრატიული სტანდარტებისადმი ერთგულ საჩვენებელ ქვეყნას.<sup>16</sup> შედეგად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას 2014 წელს მოენერა ხელი და ვიზების ლიბერალიზაციის შესახებ შეთანხმება 2015 წელს დასრულდა. დასავლეთმა, თავის მხრივ, 2012 წელს, არჩვენებით ხელისუფლების შეცვლაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ის ღიად მოუწოდებდა მიხეილ სააკაშვილს, დაეთმო ხელისუფლება და არ უტოვებდა მას პოლიტიკური მანიპულაციის საშუალებას, და „აიძულა“ კიდევ პირველად არჩვენებით შეეცვალა ხელისუფლება.<sup>17</sup>

ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც დასავლეთმა გააგრძელა თამაშის დემოკრატიული წესების ინსტიტუციონალიზაციის მხარდაჭ-

ერა და მოუწოდა ახალ ხელისუფლებას კონსტრუქციულად ეთანამშრომლა ყოფილ მმართველ პარტიასთან. თუმცა, ახალმა ხელისუფლებამ ყურად არ იღო მეგობრების თხოვნა და დააპატიმრა ძველი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, რითიც დასავლეთის კრიტიკა დაიმსახურა.

ხელისუფლებამ და ქართული საზოგადოების ნაწილმა უმეტესწილად ისე გაიგო დასავლეთის კრიტიკა და გაფრთხილება, რომ არ შექმნილიყო შერჩევითი სამართლის შთაბეჭდილება, – როგორც ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა და იმ დანაშაულებების დაფარვის მცდელობა, რომლებიც წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩაიდინეს. არადა, კრიტიკის მიზანი გახლდათ ის, რომ შექმნილიყო ხელისუფლების დემოკრატიული ცვლის მაგალითი პოლიტიკური შურისძიების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ამან სრულად ვერ შეაჩერა წინა ხელისუფლების წევრების დაკავების პროცესი, დაპატიმრებების რიცხვი შეიზღუდა. დასავლეთის კრიტიკამ ასევე ხელი შეუწყო ქვეყანაში მედია პლურალიზმის შენარჩუნებას, დაიცვა რა მთავარი ოპოზიციური არხი „რუსთავი2“ ხელისუფლების ჩარევისგან.

თუმცა წარმატებისთვის ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი: საქართველოს ხელი-

სუფლებამ უნდა გაატაროს შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური რეფორმები, რაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ინტერესშია. ამას გარდა, უარი უნდა თქვას დასავლეთის მიმართ მტრულ რიტორიკაზე, რადგან ეს საქართველოში ანტიდასავლური განწყობების გაძლიერებას უწყობს ხელს. ხელისუფლება და პარლამენტი ქცევის ზოგად წესებზე უნდა შეთანხმდნენ, რომელიც პრევენცია იქნება ზოგიერთი წევრისათვის, კითხვები აღარ გაუჩნდეთ დემოკრატიული მმართველობის მოდელის უნივერსალური ღირებულებების შესახებ. საქართველოს ხელისუფლების უგულისყურობა დასავლეთის მიმართ რუსეთის გავლენას კიდევ უფრო ზრდის, რაც აზიანებს ქვეყანის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს და დემოკრატიულ რეფორმებს.

გარდა ქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობისა, ევროკავშირს და ნატოს ასევე აშფოთებთ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში შექმნილი სიტუაცია და საქართველოში რუსეთის გავლენის ზრდა. ეს ორი ფაქტორი ხელს უშლის დემოკრატიულ პროცესს ქვეყნის შიგნით. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ აქამდე დასავლეთმა ვერ შეძლო წარმატებით გამკლავებოდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლე-

მებს საქართველოში.

მაგალითად, მისი მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიულ კონფლიქტებში არ აღმოჩნდა საკმარისი რუსეთის მადესტაბილიზებელი ფაქტორის გასანიტრალეზად. ამასთანავე სწორედ ეს ფაქტორი უშლის ხელს საქართველოს ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციას, ზრდის მოსახლეობის იმედგაცრუებას და რუსეთის პოპულარობას. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთს სურდა დახმარებოდა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში, ის ყოველთვის ვერ ახმარდა საკმარის რესურსებს, განსაკუთრებით, რეგიონალური უსაფრთხოებისა და ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების საკითხებში.

საქართველოს წინა ხელისუფლებების პასუხისმგებლობაა ისიც, რომ დასავლეთმა შეასუსტა კონფლიქტების დარეგულირებაში მონაწილეობა. სააკაშვილის ადმინისტრაციის ზედმეტმა თავდაჯერებულობამ კონფლიქტების გადაჭრაში, ევროპელების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, მათ ვერ შეძლეს რუსეთს დაპირისპირებოდნენ. ბრიუსელი მხარს უჭერდა კონფლიქტების გაყინვას და არა მათ გადაჭრას. სიტუაცია რადი-

კალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც რუსულ-უკრაინული კონფლიქტი დაიწყო და რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა, რამაც ცივის ომის დასრულების შემდეგ პირველად აიძულა დასავლეთი რუსეთს საკუთარ სამეზობლოში დაპირისპირებოდა. რამდენიმე წლის წინანდელი მდგომარეობისგან განსხვავებით, დღეს დასავლეთი ბევრად უფრო მტკიცედ დგას რუსეთის პირისპირ, ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებამ ახლა უფრო უნდა იაქტიუროს ქართული კონფლიქტების დასავლეთის დღის წესრიგში ჩასართავად.

თუმცა, ქართული ოცნების ხელისუფლება აქამდე თავს იკავებს საქართველოს კონფლიქტების რუსულ-დასავლურ დღის წესრიგში დასაბრუნებლად, რადგან მიანიშნა რომ საქართველო არ უნდა გახდეს საჯილდაო ქვა დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაში. თუკი ეს პოლიტიკა ასევე გაგრძელდება, საქართველოს საკითხი გაქრება დასავლეთის დღის წესრიგიდან და შესაძლოა საქართველოს ხელისუფლება მარტო აღმოჩნდეს როგორც რუსეთის ისე უსაფრთხოების მწვავე პრობლემების პირისპირ.

## დასავლეთის ინდივიუალულობა

დასავლეთი, მიუხედავად მისი სტრატეგიის ბევრი ნაკლოვანებებისა, მაინც რჩება საქართველოში დემოკრატიის მთავარ გარანტორად. რადგან პოლიტიკური კულტურის დონე ჯერ კიდევ დაბალია და ხელისუფლების განაწილების მექანიზმები საკმაოდ მყიფეა, დასავლური დემოკრატიის ზენოლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლებებმა თანამიმდევრულად იმოქმედონ. თუმცა ხშირად ისინი, როგორც წესი, ცდილობენ, რომ ხელისუფლების შესანარჩუნებლად არადემოკრატიულ საშუალებებს მიმართონ. თუმცა როგორც წინა წლების გამოცდილებამ აჩვენა, ყოველთვის, როდესაც დასავლეთი საქართველოს დემოკრატიზაციაზე ახორციელებდა ზენოლას, ხელისუფლების წარმომადგენლები ადეკვატურად პასუხობდნენ.<sup>18</sup> დასავლეთის კრიტიკა გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა ვარდების რევოლუციის დროს.<sup>19</sup> 2012 წელსაც, დასავლეთმა გააძლიერა დემოკრატიზაციის მოთხოვნა და აიძულა სააკაშვილის ხელისუფლება, ქვეყანაში პირველად ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილებისთვის ხელი არ შეეშალა.<sup>20</sup> უკანასკნელ ხანებში დასავლური ქვეყნების მტკიცე პოზიციის

გამო ქართული ოცნების ხელისუფლებამ უარი თქვა პოლიტიკური ზეგავლენა მოეხდინა „რუსთავი2-ზე“ – ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ ტელევიზიაზე.<sup>21</sup>

თუმცა, დასავლეთი ყოველთვის თანამიმდევრული არ ყოფილა ქართული დემოკრატიის მხარდაჭერაში, რაც აზიანებს მისსავე იმიჯს და ანელებს საქართველოში მიმდინარე რეფორმებს. ძალიან ხშირად, ევროკავშირი და აშშ თვალს ხუჭავდნენ დემოკრატიის ნაკლებზე, ხანდახან კი ადამიანის უფლებების უხემ დარღვევებზეც კი საქართველოს ხელისუფლებების მხრიდან. დასავლეთს არ ჰქონია რეაქცია, როცა ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებამ მთელი ძალაუფლება მიითვისა და 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები თითქმის გააყალბა. არც მაშინ ჰქონია ადეკვატური რეაქცია, როცა ქართული ოცნების მთავრობამ წინა ხელისუფლების წარმომადგენლების დევნა დაიწყო და გაჩნდა ეჭვი რომ ის შერჩევითი სამართლის პოლიტიკას ატარებდა. დასავლეთის უმოქმედობა აზიანებს ერთი მხრივ, საქართველოში დემოკრატიულ პროცესებს და მეორე მხრივ – დასავლეთის რეპუტაციას. საქართველოს ხელისუფლების წარმომად-

გენლებზე ევროკავშირისა და აშშ-ს მეტად თანმიმდევრული დემოკრატიული ზეწოლა ორივესთვის სასარგებლო იქნება.

ევროკავშირი ასევე უნდა მოემზადოს საქართველოში ასოცირების შემდგომი პერიოდისთვის და უზრუნველყოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უზასუხოს ევროკავშირის მიერ მოთხოვნილ დემოკრატიულ რეფორმებს. ამისათვის ევროკავშირმა უნდა შეიმუშაოს პოსტ-ასოცირების მექანიზმები, მაგალითად ისეთი, როგორიც იყო „თანამშრომლობისა და შემოწმების მექანიზმი ბულგარეთისა და რუმინეთისთვის“. ამგვარი მექანიზმის მთავარი მიზანი უნდა იყოს დემოკრატიული რეფორმების გატარების მონიტორინგი და ხელისუფლების „დასჯა“ იმ შემთხვევაში, თუკი ის არ იმოქმედებს ევროკავშირის ნორმების შესაბამისად. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ევროკავშირმა უნდა გააგზავნოს ცხადი სიგნალი, რომ საქართველოს ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირთან არ არის შეუქცევადი, და რომ ურთიერთობაში მიღწეული ნებისმიერი წარმატება შეიძლება ისევ წარუმატებლობად იქცეს.

საქართველოსთან მიმართებით დემოკრატიულ განვითარებაში არათანმიმდევრულობა დასავლეთის ერთადერთი ნაკლი არ არის.

ევროკავშირში განწევრიანების პერსპექტივის არარსებობა ასევე აზიანებს დასავლეთის დემოკრატიის ზეგავლენას. ევროკავშირი არ ჩქარობს საქართველოს შესთავაზოს რაიმე უფრო მეტი, ვიდრე ახლო ურთიერთობებია, რაც ბევრ შემთხვევაში ასუსტებს რეფორმების მომხრე კოალიციას და აძლიერებს რეფორმების მოწინააღმდეგეთა პოზიციებს.<sup>22</sup> გაფართოებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, ორივე – ევროკავშირის მოსახლეობაც და პოლიტიკური ელიტებიც გადალლინი არიან, ამიტომ, ევროკავშირს არა აქვს საშუალება საქართველოს (და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებს) მოკლევადიან პერსპექტივაში წევრობა შესთავაზოს. თუმცა, არ არის საჭირო, საქართველოს მოსახლეობას განუწყვეტილად უმეორონ რომ საქართველო არის მხოლოდ „ევროპის მეზობელი“ და არა „ევროპის ნაწილი“, ასევე – საქართველოს პოლიტიკური ელიტისთვის და მოსახლეობისთვის იმის შეხსენება, რომ ევროკავშირის წევრობა გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი არ განიხილება.<sup>23</sup> საქართველოსთვის, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, ადრეული 1990-იანი წლებიდან საკუთარი იდენტობის შექმნისთვის ძალიან რთული პროცესი გაიარა, ევროკავშირისა (და ნატოს) მიერ

„ევროპულ ქვეყნად“ აღქმა ძლიერი ინსპირაცია და სტიმული იქნება დემოკრატიული რეფორმების გასაგრძელებლად, თუნდაც, უშუალოდ განვევრინების პერსპექტივის გარეშე.<sup>24</sup>

ასევე, საჭიროა ევროკავშირმა შეცვალოს მხოლოდ ხელისუფლებაზე ფოკუსირებული მიდგომა და უფრო მეტად დაინტერესდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებით, როგორც რეფორმების მხარდამჭერებით. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართეს საკუთარ პროგრამებში და მათი დაფინანსება გაიზარდა, აღმოსავლეთის პარტნიორობა – ევროკავშირის მთავარი ინსტრუმენტი – დიდწილად ისევ სამთავრობო ორგანოებზე, როგორც რეფორმირების და

პოლიტიკური დიალოგის ერთადერთ პარტნიორებზეა კონცენტრირებული. ეს საფუძველშივე მცდარი სტრატეგიაა, რადგან ხელისუფლებები ხშირად მოქმედებენ, როგორც რეფორმების პროცესის შემაფერხებლები, განსაკუთრებით კი მაშინ როცა საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობენ. პირიქით, ევროკავშირმა უნდა გააფართოვოს საკუთარი მექანიზმები მოქალაქეების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დასახმარებლად, რათა სწორედ მათ შეძლონ საკუთარი ხელისუფლებების რეფორმირება. მეტიც, ევროკავშირი უნდა დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებას, რათა მან ღირსეულად ჩართოს მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციები დემოკრატიული რეფორმების პროცესებში.

## რუსული რბილი ძალის შიკაპება

რუსეთი პირდაპირ არ ერევა მეზობელი ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესებში<sup>25</sup>, ამის ნაცვლად ის ეფექტურად იყენებს რბილ ძალას პოსტსაბჭოთა საზოგადოებების მობილიზაციისათვის ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმების წინააღმდეგ და ევროკავშირს წარმოადგენს, როგორც ნაციონალური იდენტობის მოწინააღმდეგეს. ამასთანავე გასულ წლებში, რუსეთი

„დეკადენტურ“ დასავლეთს დაუპირისპირდა და „ტრადიციული ღირებულებების“ დამცველის მთავარი როლი მოირგო. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, თავის გზავნილში ევროპის კავშირის მიმართ, ევროპული ქვეყნები დაადანაშაულა „მორალური ნორმების განადგურებაში, ეროვნული ტრადიციების მოშლაში და ერებსა და კულტურებს შორის საზღვრების მორ-

ღვევაში“.<sup>26</sup> რუსეთის პრეზიდენტმა საკუთარი თავი წარმოადგინა, როგორც ტრადიციული, ოჯახის ღირებულებების დამცველმა, რომლებიც „რუსეთის სიდიადის ფუნდამენტია და ბურჯად დგას ე.წ. „ტოლერანტობის“ – უსქესობისა და უშვილობის წინააღმდეგ“.<sup>27</sup> ერთი ავტორის მიხედვით, „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დახმარებით, პუტინმა დაიწყო ბრძოლა ლიბერალური (დასავლური) ღირებულებების წინააღმდეგ, რომელებიც რუსული საზოგადოების ზოგიერთმა სეგმენტმა შეითვისა“<sup>28</sup>. ამის პირდაპირი მაგალითია ის, რომ რუსეთმა დასჯადი განადა „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა“, რითიც დათრგუნა ლგბტ თემი და სხვა უმცირესობები, რომელებიც არ შეესაბამებიან კრემლის პროპაგანდის მიერ წარმოდგენილ ტრადიციულ მართლმადიდებლურ იმიჯს.<sup>29</sup> ჰომოსექსუალთა სანინააღმდეგო პროპაგანდა იოლად ვრცელდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რადგან პოსტსაბჭოთა საზოგადოებები არა არიან ტოლერანტულები სექსუალური უმცირესობების მიმართ.<sup>30</sup> იცის რა პოსტსაბჭოთა ქვეყნების საეკლესიო წრეების მიერ ჰომოსექსუალების მიუღებლობის შესახებ, რუსეთი ევროპულ ღირებულებებს წარმოადგენს, როგორც მხოლოდ ჰომოსექსუალობის აქტიურ მხარდაჭერას.

საქართველოში, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს ქვეყნის პროდასავლური საგარეო კურსი უფრო მყარი იყო და ხელისუფლებაც აქტიურად უპირისპირდებოდა რუსულ იდეოლოგიურ ნარატივებს, მაგალითად, რუსულენოვანი სატელევიზიო არხის PIK-ის გახსნით და რუსული სამთავრობო სატელევიზიო არხების მაუწყებლობის შეზღუდვის შედეგად, თითქმის არ არსებობდა საჭიროება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან დაპირისპირებოდნენ რუსულ რბილ ძალას.

2012 წლის ხელსუფლების შეცვლის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნება მთლიანობაში ინარჩუნებს ქვეყნის პროდასავლურ კურსს, მან, ამავე დროს, ძირეულად შეცვალა რუსეთთან დამოკიდებულება. შედეგად, მთავრობის ზომიერმა პოლიტიკამ ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი წაახალისა – უმეტესწილად, საბჭოთა ინტელიგენცია და რამდენიმე მედია აქტორი, ღია კამპანია ეწარმოებინათ „დეკადენტური“ და „გეი“ დასავლური ღირებულებების წინააღმდეგ და მჭიდროდ დაკავშირდნენ რუსეთს, რომელსაც მართალია, ქვეყნის ნაწილი ოკუპირებული აქვს, მაგრამ იზიარებს მათ ღირებულებებსა და მათ რე-




ლიგიას (ცხრილი 2).

იმისთვის, რომ გაუმკლავდეს მზარდ ანტილიბერალურ და ანტიდემოკრატიულ მოსაზრებებს, დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილობრივი პრორუსული რწმუნებულები ჰყავს. მაგალითად, საჭიროა რუსული ტელეარხების ლიცენზიების შეზღუდვა და საინფორმაციო კამპანიის წარ-

მოება ევროპული ინტეგრაციის მხარდასაჭერად, რომლის საშუალებითაც აუხსნის მოქალაქეებს, რომ ევროკავშირთან დაახლოება არაფრით ემუქრება საქართველოს ტრადიციულ ღირებულებებს.

ცხრილი 2: გზავნილების ტიპები, რომლებიც ეხება (დასავლურ) ღირებულებებს და ადამიანის უფლებებს (გზავნილები გავრცელდა 2014 წლის 17 თებერვლიდან 2018 წლის 18 თებერვლამდე)<sup>31</sup>



რადგან დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება არ არის დაინტერესებული, შეაჩეროს რუსული პროპაგანდა, ეს პასუხისმგებლობა, ლიბერალურად განწყობილმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე და გააქარწყლონ

მითები ევროკავშირის შესახებ, რომელებსაც კრემლის მიერ კონტროლირებადი პრესა და მისი ადგილობრივი ანტილიბერალურად განწყობილი პარტნიორები ავრცელებენ. ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთაც რეგიონში მუშაობის

გამოცდილება აქვთ შეიძლება ევროკავშირის ლოკალურ პარტნიორებად იქცნენ. ამის კარგი მაგალითია უკრაინული სტოპფაკე.ორგ-ი, ვებსაიტი, რომელიც კიევის მოჰილას აკადემიის სტუდენტებმა შექმნეს და რომელიც ფაქტების გადამოწმებით აამკარავებს კრემლის ტყუილებს და ამხელს რუსული მედიის მიერ შეთხზულ ახალ ამბებს. მედია პროდუქტების შემოწმების გარდა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ საინფორმაციო კამპანიები, რათა ფართო საზოგადოებრიობას აუხსნან დემოკრატიული მმართველობის ღირსებები, ევროპული ინტეგრაციის უპირატესობები და აჩვენონ ევროკავშირის რეალური სახე. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმ მგრნობიარე საკითხებს, რომლითაც აქტიურად მანიპულირებენ რუსეთი და ადგილობრივი ანტილიბერალური აქტორები. მაგალითად, მათ გარკვევით უნდა ახსნან, რომ ევროკავშირთან დაახლოება ან თუნდაც, მისი წევრობა არ ავალდებულებს საქართველოს დაუშვას ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინება. ეს ერთადერთი საშუალებაა, რითიც რუსეთის ანტიდასავლურ პროპაგანდასთან დაპირისპირება შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ანტილიბერალური

და პრორუსული ძალების ქადაგებები სულ უფრო და უფრო მეტ მოქალაქეს მიიზიდავს და კიდევ უფრო შეამცირებს ქართველების პროევროპულ განწყობებს.

2015 წელს ევროკავშირმა დაიწყო საკუთარი „დეზინფორმაციის მიმოხილვა“.<sup>32</sup> თუმცა, ამ პროდუქტის ხილვადობა ჯერ ისევ მთავარ პრობლემად რჩება. ევროკავშირმა მიმოხილვა მხოლოდ საკუთარ ვებპორტალებზე განათავსა, რომელიც არ არის იოლად ხელმისაწვდომი და კითხვადი ფართო საზოგადოებრიობისთვის როგორც ევროკავშირში, ასევე, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში. მიმოხილვას საკუთარი ფეისბუქ გვერდიც კი არა აქვს, არადა, ეს ის ძირითადი სოციალური მედიაა, რომელსაც აქტიურად იყენებენ საქართველოში საჯარო პოლიტიკური დისკუსიებისთვის.

ევროკავშირი ასევე ცდილობს დაარწმუნოს საქართველოს მოსახლეობა ევროპული ინტეგრაციის უპირატესობებში და ცდილობს შეასუსტოს შიში, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონასთან დაკავშირებით არსებობს, თუმცა, ეს ახსნა-განმარტებითი მასალები საქართველოში ევროკავშირის ვებგვერდს არ გასცდენია.<sup>33</sup> იმისათვის, რომ უფრო ეფექტურად იმო-

ქმედოს, ევროკავშირმა საკომუნიკაციო სტრატეგიები უნდა გააფართოვოს. კარგი დასაწყისი იქნება კამპანია ქვეყნის მთავარ სატელევიზიო არხებზე, რომელიც აღუდგება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ევროკავშირის წინააღმდეგ მიმდინარე პროპაგანდას. მითები მხოლოდ მაშინ დაინგრევა, თუკი მათ ეფექტურად დაუპირისპირდებით.

ევროკავშირისგან განსხვავებით, აშშ-ს სახელმწიფო ორგანოები ბევრად უფრო აქტიურად უპირისპირდებიან ანტიდასავლურ პროპაგანდას. მაგალითად, USAID-მა ამას წინათ დააფინანსა ანგარიში „ანტიდასავლური პროპაგანდის“ შესახებ, რომელიც მედიის განვითარების ფონდმა გამოაქვეყნა.<sup>34</sup> თუმცა, სანამ ამგვარი ანგარიშები ფართო საზოგადოებამდე არ მიაღწევს, კერძოდ მედიაში აქტიური კამპანიის გზით, მათი გავლენა შეზღუდული იქნება.

საინფორმაციო კამპანიის გარდა, ევროკავშირმა და საქართველოს ხელისუფლებამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან (სმე), რათა შეამცირონ რუსეთის გავლენა ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ინსტიტუციაზე. სმე-ს არაფორმალური სტრუქტურა საკმაოდ რთულია და იქ განსხვავებული შიდა დინე-

ბებია. კლერიკალთა უმრავლესობა პრორუსული ორიენტაციისა, თუმცა, არის ძლიერი პროევროპული ჯგუფებიც.<sup>35</sup> საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს პროევროპული ჯგუფები ეკლესიის შიგნით თანამშრომლობისათვის და ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ევროკავშირმა უნდა სცადოს ეკლესიასთან ითანამშრომლოს დემოკრატიული რეფორმების მიმართულებითაც. ეკლესიის მსახურებს უნდა მიეცეთ საშუალება ისწავლონ და კვლევები აწარმოონ ევროპულ უნივერსიტეტებში, ასევე, გააძლიერონ კონტაქტები ევროპის ეკლესიებთან. ეკლესიის დარწმუნება ევროპული ინტეგრაციის და დემოკრატიული განვითარების სიკეთეებში უაღრესად მნიშვნელოვანია.

თუკი ეს არ გაკეთდება, მაშინ ძლევამოსილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ისევ რუსეთის მავნე ზეგავლენის ქვეშ დარჩება. ეს ურთიერთობა ძლიერ ინსტრუმენტად იქცევა კრემლის რბილი ძალის ხელში, რომელიც შეეცდება საქართველოს ეკლესიასთან მჭიდრო ურთიერთობის გამოყენებას საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის დასაზიანებლად. რუსული რბილი ძალა საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა 2012 წელს საქა-

რთველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო და ბიზნეს ურთიერთობის აღდგენის შემდეგ, როცა რუსეთმა ქვეყნის ბაზარი გახსნა ქართული პროდუქტებისთვის. ქართული ექსპორტი რუსეთში 2012-2014 წლებში გაორმაგდა და 2014 წელს \$274 მილიონი შეადგინა.<sup>36</sup> რუსულმა ინვესტიციებმა 2014 წელს ქვეყნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხუთი პროცენტი შეადგინა. მართალია, ეს რიცხვი ჯერ ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ რუსეთთან გაძლიერებული სავაჭრო ურთიერთობები ქართველი ექსპორტიორების მნიშვნელოვან ჯგუფებს – ღვინისა და მინერალური წყლის მწარმოებელ კომპანიებს, – რუსულ ბაზარზე დამოკიდებულს და შესაბამისად, რუსეთის სავარაუდო პოლიტიკური ზეწოლისთვის მონყვლადს ხდის. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ვაჭრობის გაუმჯობესება,

თავისთავად, არ არის ნეგატიური მოვლენა, ხელისუფლებამ თანმდევი რისკები უნდა გათვალოს და ადეკვატურად შეაფასოს. ამას გარდა ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ალტერნატიული სცენარები იმ შემთხვევისთვის, თუკი რუსეთი ვაჭრობის და კონტაქტების გაფართოებას პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს. თუკი ამ ნაბიჯებს არ გადადგამს, ხელისუფლება აღმოჩნდება რისკის ქვეშ, რომ განმეორდეს 2006 წლის სიტუაცია, როცა ქართული ეკონომიკა რუსული ზეწოლისთვის მზად არ აღმოჩნდა. ცხადია, რომ რუსეთი, რომელიც ზოგადად, ცნობილია ეკონომიკის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაში, ქართული ეკონომიკის რუსეთზე ბაზარზე მზარდ დამოკიდებულებას საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აუცილებლად გამოიყენებს.

### **დასკვნა და რეკომენდაციები: საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მართვა**

ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორც საქართველოა, დემოკრატიზაციის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან და რეგიონალური ინტეგრაციის პროცესებთან.<sup>37</sup> პოსტ-სოციალისტური სამყაროს გამოცდილებამ ცხა-

დად აჩვენა, რომ პატარა ქვეყნების დემოკრატიზაციის საუკეთესო გარანტია მათი ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებაა.<sup>38</sup> მაგალითად, ბალტიის ქვეყნებმა დემოკრატიზაციის და კარგი მმართველობის მაღალ ხარისხს ევროატლანტიკურ ინტეგრა-

ციასთან ერთად მიაღწიეს. დემოკრატიზაციისა და ევროპული ინტეგრაციის პროცესი გადაჯაჭვულია. ამიტომაც, ცხადია, რომ ანტილიბერალური ძალები, ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ, ცდილობენ ხელი შეუშალონ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს, ევროპულ ღირებულებებს და ამით საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესი შეაფერხონ.

დღესდღეობით საქართველო სამი მთავარი გამოწვევის პირისპირ დგას, რომლებიც ადგილობრივი აქტორების მიერ სასწრაფოდ უნდა იქნეს გადაჭრილი, რათა ავტორიტარიზმთან დაბრუნება ავიცილოთ თავიდან და საქართველოში დემოკრატიული რეფორმების არსებობა დავადასტუროთ. პირველ ყოვლისა – საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა იყვნენ გარანტორები იმისა, რომ მოსახლეობის ფართო წრეებმა გაიგონ

და მიხვდნენ ევროკავშირთან ინტეგრაციისა და რეფორმების უპირატესობებს. მეორე – ხელისუფლება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა შეეცადონ შეაკავონ რუსული რბილი ძალა, დაიწყონ აქტიური კომპანია იმ რუსული დისკურსის აღმოსაფხვრელად, რომელიც დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული დისკურსის წინააღმდეგაა მიმართული. დაბოლოს – ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს საკუთარი დღის წესრიგი დემოკრატიის მხარდასაჭერად, უნდა იყოს უფრო თანამიმდევრული საქართველოს ხელისუფლების მიმართ, შესთავაზოს პროდასავლურ პარტიებს ახალი შესაძლებლობები დემოკრატიული პროცესების გასაძლიერებლად, მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს ეკლესიასთან და აწარმოოს აქტიური კამპანია საკუთარი იმიჯის წარმოსაჩენად საქართველოს მოსახლეობაში.

## ძირითადი რეკომენდაციები

### საქართველოს ხელისუფლებამ უნდა:

- შეამციროს რუსული რბილი ძალის გავლენა, მაგალითად, რუსული სატელევიზიო არხების შეზღუდვით, რომელიც პირდაპირაა მიმართული

ევროპული ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგ.

- შეწყვიტოს ორაზროვანი განცხადებები ევროკავშირის როლისა და დემოკრატიული მმართველობის შესახებ; ხელისუფლების ზოგიერთმა

წარმომადგენელმა და მმართველი კოალიციის პარლამენტის წევრებმა შეიმუშაონ ერთიანი პოზიცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებთან მიმართებაში.

- დაიწყოს აქტიური მედია კამპანია, რათა მოქალაქეებს აუხსნან, რომ ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი და ქართული ტრადიციები ფეხ და ფეხ მიყვება ერთმანეთს და რომ ის რეფორმები, რომელსაც დასავლეთი მოითხოვს, უპირველესად ქართველი ხალხისთვისა სიკეთის მომტანი.
- გაანალიზოს რუსეთთან გაზრდილი ვაჭრობისა და ურთიერთობის რისკები და შეიმუშაოს ალტერნატიული სცენარი იმ შემთხვევისთვის, თუკი რუსეთი გაზრდილ სავაჭრო ურთიერთობას პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს.
- ოკუპირებული ტერიტორიებისა და უსაფრთხოების პრობლემების არსებობა ზღუდავს სახელმწიფოს პოტენციალს და მოსახლეობის მობილიზაციას დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაზარდოს დასავ-

ლეთზე ზეწოლა, რათა საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტები და მისი უსაფრთხოების პრობლემები დასავლეთის დღის წესრიგში მოხვდეს. საქართველოს ხელისუფლებამ ხაზი უნდა გაუსვას უსაფრთხოების გაუმჯობესების მნიშვნელობას დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად.

### **სამოქალაქო საზოგადოება უნდა:**

- დაუპირისპირდეს რუსულ რბილ ძალას რუსული მითების მსხვრევით, მაგალითად იმ ტიპის ფაქტების შემმოწმებელი საიტების შექმნით, როგორცაა უკრაინული [stopfake.org](http://stopfake.org).
- მმართველობის დემოკრატიული ფორმების და ევროინტეგრაციის უპირატესობების ასახსნელად და ევროკავშირის შესახებ რეალური ინფორმაციის გასავრცელებლად აწარმოონ ფართო საზოგადოებრიობისთვის ხელმისაწვდომი აქტიური მედია კამპანია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მგრძნობიარე თემებზე, რომელსაც რუსეთი და ლოკალური ანტილიბერალური აქტორები იყენებენ. მაგალითად, უნდა განმარტონ,

რომ ევროკავშირთან დაახლოება, ან სულაც მისი წევრობა არავის აიძულებს ერთი და იმავე სექსის მქონე ადამიანების ქორწინების დაკანონებას.

- საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა განახორციელონ ქართულ მედიაში მზარდი რუსული გავლენების მონიტორინგი. მაგალითისთვის გამოდგება სარედაქციო პოლიტიკის დრამატული შეცვლა პოპულარულ ტელეარხ „მაესტროზე“, მას შემდეგ, რაც ის რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა შეიძინა.

### ევროკავშირმა უნდა:

- გააუმჯობესოს საკუთარი იმიჯი საკომუნიკაციო სტრატეგიის გაფართოებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის, აწარმოოს აქტიური მედია კამპანია (მაგალითად, მოკლე საიმჯო კლიპების საშუალებით), რათა განმარტოს ევროკავშირის პოლიტიკა და დაუპირისპირდეს დისკურსს, რომელსაც პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსები, „ინტელიგენციის“

ნაწილი და რუსეთისგან მხარდაჭერილი მედია ატარებენ.

- გაცილებით უფრო თანამიმდევრულად აწარმოოს ზენოლა საქართველოს ხელისუფლებაზე, მოითხოვოს დემოკრატიზაცია, რათა აღმოიფხვრას ავტოკრატიატან დაბრუნების და ჩინოვნიკთა დანაშაულებების შესაძლებლობა.
- განავითაროს ასოცირების შემდგომი პერიოდის მექანიზმები, რათა დაიცვას საქართველოს ხელისუფლება თვითკმაყოფილებისგან წარმატებული ასოცირების ხელშეკრულების და ვიზების ლიბერალიზაციის გამო. ევროკავშირმა უნდა გაგზავნოს ცხადი გზავნილი, რომ ევროპის კავშირთან საქართველოს დაახლოება არ არის შეუქცევადი პროცესი და თუკი ხელისუფლება ვერ უპასუხებს დემოკრატიის ნორმებს, ევროკავშირმა შეიძლება უკან დაიხიოს.
- შესთავაზოს ახალი ინიციატივები, ისეთი, როგორცაა ეკონომიკური ბენეფიტები, ან ინტეგრაციის უფრო სრულყოფილი გზები, რათა დემოკრატიული რეფორმები სტაბილურად გატარდეს და ხელი შეეწყოს ხელისუ-

ფლებას, არ გადაუხვიოს დემოკრატიის გზიდან.

- გაზარდოს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსება და აქციოს ისინი ადგილობრივ პარტნიორებად ხელისუფლებასთან პოლიტიკური დიალოგის პროცესში. ერთი მხრივ, პოლიტიკის შემუშავების, მისი ინპლემენტაციის და მეორე მხრივ - რეფორმების მონიტორინგის პროცესში.
- დაიწყოს დიალოგი საქართველოს

მართლმადიდებელ ეკლესიასთან (სმე), განსაზღვროს საერთო ინტერესების სფეროები, გამოიყენოს ეკლესიის ავტორიტეტი, რათა მოსახლეობის ფართო ფენებს მისწვდეს. სმე-ს სამღვდელოებას შესთავაზოს სწავლა და კვლევების შესაძლებლობა ევროპის უნივერსიტეტებში. მხარი დაუჭიროს დიალოგს სმე-ს, ევროპულ კათოლიკე, ევანგელურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის.

### პიპლიობრაფია:

<sup>1</sup> Statement for the Record Worldwide Threat Assessment of the US Intelligence Community Senate Armed Services Committee, [http://www.armed-services.senate.gov/imo/media/doc/Clapper\\_02-09-16.pdf](http://www.armed-services.senate.gov/imo/media/doc/Clapper_02-09-16.pdf), retrieved February 16, 2016

<sup>2</sup> EU Neighbourhood Info Centre. 2015. Donald Tusk says Georgia a front-runner in the Eastern Partnership. Available from <<http://www.enpi-info.eu/eastportal/news/latest/41598/Donald-Tusk-says-Georgia-a-front-runner-in-the-Eastern-Partnership>>. Accessed 16 February 2016.

<sup>3</sup> Gilbreath, Dustin. 2015. No, Putin is not winning Georgia away from Europe. Here are the facts. Available from <<https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/12/21/no-putin-is-not-winning-georgias-loyalty-away-from-europe-here-are-the-facts/>>. Accessed 20 January 2016.

<sup>4</sup> Cecire, Michael. 2016. Yes, Putin may be starting to win Georgia away from the West. Here's why that matters. Available from <<https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2016/01/25/yes-putin-may-be-starting-to-win-georgia-away-from-the-west-heres-why-that-matters/>>. Accessed 26 January 2016.

<sup>5</sup> Ibid.

<sup>6</sup> Graph taken from: Social science in the Caucasus. 2016. The Georgian public's perceptions of the EU's and Russia's influence on the country. Available from <<http://crrc-caucasus.blogspot.hu/2016/02/the-georgian-publics-perceptions-of-eus.html>>. Accessed 3 February 2016.

<sup>7</sup> Civil Georgia. 2016. Georgia in U.S. Intelligence Annual Report. Available from <<http://www.civil.ge/eng/article.php?id=28974>>. Accessed 16 February 2016.

<sup>8</sup> Tass. 2015. Georgia to move towards EU, not Eurasian union – prime minister. Available from <<http://tass.ru/en/world/785068>>. Accessed 26 January 2016.



- <sup>9</sup> Prodi, Romano. 2002. A Wider Europe - A Proximity Policy as the key to stability. Available from <[http://europa.eu/rapid/press-release\\_SPEECH-02-619\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_SPEECH-02-619_en.htm)>. Accessed 2 January 2016.
- <sup>10</sup> European Council. 2003. ESS: European Security Strategy. Available from <<https://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/78367.pdf>>.
- <sup>11</sup> Council of the European Union. 2009. European Security Strategy.: A secure Europe in a better world. Brussels: EUR-OP.
- <sup>12</sup> Umland, Andreas. 2009. Understanding the Orange Revolution: Ukraine's Democratization in the Russian Mirror. Available from <[http://www.geopolitika.lt/index.php/www.ibidem-verlag.de/news.php?artc=3686#\\_ftn1](http://www.geopolitika.lt/index.php/www.ibidem-verlag.de/news.php?artc=3686#_ftn1)>. Accessed 22 March 2013.
- <sup>13</sup> Walker, Christopher. 2011. The Authoritarian Dead End: The Arab Spring's Implications for the Former Soviet Union. Available from <[https://freedomhouse.org/sites/default/files/inline\\_images/NIT-2011-Release\\_Booklet.pdf](https://freedomhouse.org/sites/default/files/inline_images/NIT-2011-Release_Booklet.pdf)>. Accessed 12 March 2014.
- <sup>14</sup> Lucas, Edward. 2013. Putin's Latest Hunting Trip. Available from <<http://online.wsj.com/news/articles/SB10001424052702304014504579247894276291648>>.
- <sup>15</sup> EU Neighbourhood Info Centre. 2015. Donald Tusk says Georgia a front-runner in the Eastern Partnership. Available from <<http://www.enpi-info.eu/eastportal/news/latest/41598/Donald-Tusk-says-Georgia-a-front-runner-in-the-Eastern-Partnership>>. Accessed 16 February 2016.
- <sup>16</sup> Ibid.
- <sup>17</sup> Sherwood-Randall, Liz. 2012a. President Obama Meets with Georgian President Mikheil Saakashvili: The White House. Available from <<http://www.whitehouse.gov/blog/2012/02/03/president-obama-meets-georgian-president-mikheil-saakashvili>>; Sherwood-Randall, Liz. 2012b. President Obama Meets with Georgian President Mikheil Saakashvili: The White House. Available from <<http://www.whitehouse.gov/blog/2012/02/03/president-obama-meets-georgian-president-mikheil-saakashvili>>.
- <sup>18</sup> Börzel, Tanja and Bidzina Lebanidze. 2015. European Neighbourhood Policy at the Cross-Roads: Evaluating the Past to Shape the Future. MAXCAP Input Paper (13).
- <sup>19</sup> Börzel, Tanja, Yasemin Pamuk, and Andreas Stahn. 2009. Democracy and Stability? EU and US Engagement in the Southern Caucasus. In *Promoting democracy and the rule of law: American and European strategies*, edited by Amichai A. Magen, Thomas Risse-Kappen and Michael McFaul, 150-184. Basingstoke: Palgrave Macmillan.
- <sup>20</sup> Börzel, Tanja and Bidzina Lebanidze. 2015. European Neighbourhood Policy at the Cross-Roads: Evaluating the Past to Shape the Future. MAXCAP Input Paper (13).
- <sup>21</sup> Civil Georgia. 2015. In Quotes: Int'l Reactions to Rustavi 2 TV Case. Available from <<http://www.civil.ge/eng/article.php?id=28756>>. Accessed 26 January 2016.
- <sup>22</sup> Babayan, Nelli, Tanja Börzel, Antoaneta Dimitrova, Julia Langbein, and Bidzina Lebanidze. 2015. 10 Years of the ENP - The Way Forward with the EaP. Available from <[http://maxcap-project.eu/sites/default/files/sites/default/files/policy-briefs/maxcap\\_policy\\_brief\\_01.pdf](http://maxcap-project.eu/sites/default/files/sites/default/files/policy-briefs/maxcap_policy_brief_01.pdf)>. Accessed 24 January 2016.
- <sup>23</sup> Ibid.
- <sup>24</sup> Ibid.

- <sup>25</sup> Way, Lucan A. 2015. The limits of autocracy promotion: The case of Russia in the 'near abroad'. *European Journal of Political Research*:n/a-n/a.
- <sup>26</sup> Vasilyeva, Nataliya. 2013. Putin defends Russian conservative values. Available from <<http://www.usatoday.com/story/news/world/2013/12/12/putin-russia-gay-sochi/3997351/>>. Accessed 28 March 2014.
- <sup>27</sup> Ibid.
- <sup>28</sup> Barbashin, Anton and Hannah Thoburn. 2014. Putin's Brain: Alexander Dugin and the Philosophy Behind Putin's Invasion of Crimea. Available from <<http://www.foreignaffairs.com/articles/141080/anton-barbashin-and-hannah-thoburn/putins-brain>>. Accessed 7 June 2014.
- <sup>29</sup> Ibid.
- <sup>30</sup> Babayan, Nelli, Tanja Börzel, Antoaneta Dimitrova, Julia Langbein, and Bidzina Lebanidze. 2015. 10 Years of the ENP - The Way Forward with the EaP. Available from <[http://maxcap-project.eu/sites/default/files/sites/default/files/policy-briefs/maxcap\\_policy\\_brief\\_01.pdf](http://maxcap-project.eu/sites/default/files/sites/default/files/policy-briefs/maxcap_policy_brief_01.pdf)>. Accessed 24 January 2016.
- <sup>31</sup> Graph taken from: Social science in the Caucasus. 2016. The Georgian public's perceptions of the EU's and Russia's influence on the country. Available from <<http://crrc-caucasus.blogspot.hu/2016/02/the-georgian-publics-perceptions-of-eus.html>>. Accessed 3 February 2016.
- <sup>32</sup> Rettman, Andrew. 2015. EU diplomats launch Russia 'myth-busting' weekly. Available from <<https://euobserver.com/foreign/131006>>. Accessed 24 January 2016.
- <sup>33</sup> Babayan, Nelli, Tanja Börzel, Antoaneta Dimitrova, Julia Langbein, and Bidzina Lebanidze. 2015. 10 Years of the ENP - The Way Forward with the EaP. Available from <[http://maxcap-project.eu/sites/default/files/sites/default/files/policy-briefs/maxcap\\_policy\\_brief\\_01.pdf](http://maxcap-project.eu/sites/default/files/sites/default/files/policy-briefs/maxcap_policy_brief_01.pdf)>. Accessed 24 January 2016.
- <sup>34</sup> Kintsurashvili, Tamar. 2015. Anti-Western propaganda. Available from <[http://www.media-diversity.org/en/additional-files/documents/Anti-Western\\_Propaganda\\_Media\\_Monitoring\\_Report.pdf](http://www.media-diversity.org/en/additional-files/documents/Anti-Western_Propaganda_Media_Monitoring_Report.pdf)>. Accessed 24 January 2016.
- <sup>35</sup> Kapanadze, Sergi. 2015 // op. 2015. Russia's Soft Power in Georgia - A Carnivorous Plant in Action. In *The different faces of "soft power": The Baltic States and Eastern neighbourhood between Russia and the EU*, edited by Toms Rostoks, Andris Spruds and Andris Sprūds, 162-184. Riga: Latvian Institute of International Affairs.
- <sup>36</sup> Ibid.
- <sup>37</sup> Ambrosio, Thomas. 2014. Beyond the transition paradigm: A research agenda for authoritarian consolidation. *Demokratizatsiya* 22 (3):471-495.
- <sup>38</sup> Ibid.



საკონსტიტუციო რეფორმა  
საქართველოში:  
კლიერი პარლამენტის იდეის  
განხორციელების სირთულეები და  
დაბრკოლებების ანალიზი

პოლიტიკის დოკუმენტი III

მარტი 2016



## შინაარსი

2013 წელს საქართველომ საკონსტიტუციო ცვლილებები განახორციელა, რომლის შედეგადაც საპრეზიდენტო ინსტიტუტის როლი მნიშვნელოვნად შემცირდა. ქართული პოლიტიკური წრეები ამ ცვლილებას საპარლამენტო სისტემისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ. კონსტიტუციის ექსპერტები კი ახალ კონსტიტუციას “სუპერ პრემიერ-მინისტრულს” უწოდებენ იმიტომ, რომ ახალი სისტემის მიხედვით, პრემიერ-მინისტრს დიდი ძალაუფლება გადაეცა.

ახლა უკვე ვხედავთ, თუ როგორ მუშაობს ახალი სისტემა და შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რამდენად გაიზარდა საკანონმდებლო ხელისუფლების როლი ახალი კონსტიტუციის მიღების შედეგად. ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2013 წლის შემდეგ პარლამენტი ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის, მწყობრი და ძლიერი პარტიული სისტემის არარსებობა და “სამზარეულოს კაბინეტის”

სტილის მმართველობა პოზიტიურ ტენდენციას აფერხებს.

ამ დაბრკოლებების გადალახვა მარტივი საშუალებებით შეუძლებელია. ზოგიერთი ფაქტორი ღრმად არის ფესვგადგმული ქართულ პოლიტიკურ კულტურაში და მათ შეცვლას დიდი დრო დასჭირდება. ამის მიუხედავად, საპარლამენტო მმართველობის გასაძლიერებლად გარკვეული ზომების მიღება შესაძლებელია. მაგალითად, კარგი იქნებოდა, პარლამენტის წევრები უკეთეს ადმინისტრაციულ დახმარებას იღებდნენ. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორებია საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და მონიტორინგის დამატებითი მექანიზმების შექმნა და გარკვეული ზომების მიღება რეგულაციის გასაუმჯობესებლად. ეს ხელს შეუწყობდა უფრო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური პარტიების განვითარებას, რომლებიც უკეთესად შეძლებდნენ ქართული საზოგადოების ინტერესების გამოხატვას.

\* ალექსანდრე სკრივენერი – საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი

### **გახდა თუ არა პარლამენტი უფრო ეფექტური 2012 წლის შემდეგ?**

**დიახ** – პარლამენტში ამჟამად მთავარი პოლიტიკური მოთამაშეები არიან წარმოდგენილნი. წინა პარლამენტში, ძირითადი ოპოზიციური ჯგუფები პარლამენტს ბოიკოტს უცხადებდნენ. იმის მიუხედავად, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ახლაც ბოიკოტს უცხადებს საკომიტეტო შეხვედრებს, მისი წევრები პლენარულ სხდომებს ესწრებიან, ეს კი ნიშნავს, რომ პარლამენტში ორ მთავარ ქართულ პარტიას შორის რეალური დებატები მიმდინარეობს.

**დიახ** – პარლამენტი აღარ არის მთავრობის გადანყვეტილებების ავტომატურად დამადასტურებელი ორგანო. 2003-2012 წლებში, პარლამენტი მხოლოდ სამთავრობო ინიციატივების დამკანონებელი ორგანოს როლს ასრულებდა. ამას გარდა, მთავრობა საკონსტიტუციო ცვლილებებს საკუთარი სურვილისამებრ იღებდა. მართალია, კანონების მიღების თვალსაზრისით სიტუცია მხოლოდ ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებისათვის უფრო მაღალი ზღურბლის შემოღებამ

სტაბილურობა გაზარდა.

**დიახ** – პარლამენტი ქართული პოლიტიკური პროცესის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. 2013 წელს შემოღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა პარლამენტის ფორმალური როლის გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებების შედეგად საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად არ გადაქცეულა, ამჟამად ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები ძალაუფლების უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია.

**არა** – პარლამენტში არ ხდება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადანყვეტილებების მიღება. მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები კვლავ მმართველი კოალიციის, „ქართული ოცნების“ ლიდერთა მცირე ჯგუფის მიერ დახურულ კარს მიღმა მიიღება. ყველაზე გავლენიანი ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილია, იმის მიუხედავად, რომ მას ფორმალური თანამდებობა აღარ უკავია. კოალიციაში ნებისმიერი შიდა წინააღმდეგობა, როგორც წესი, არაფორმალურ შეხვედრებზე გვარდება და საზოგადოებისთვის დახურულია.

**არა** – კვლავ სერიოზული პრობლემები

**არსებობს პარლამენტის ფუნქციონირებაში.** ელემენტარული საკანონმდებლო დავალებების შესრულების დროს, მაგალითად, კანონების შედგენისას, ვლინდება კომპეტენციის ნაკლებობა, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საპარლამენტო კომიტეტები (ნაწილობრივ ოპოზიციის ბოიკოტის გამო) ასევე ვერ ახდენენ მიღებული კანონმდებლობის სათანადო მონიტორინგს.

**არა – საპარლამენტო სისტემას საფრთხეს უქმნის სუსტი პარტიული სისტემა და პოლიტიკური კულტურა.**

**რა.** საქართველო კვლავ ინარჩუნებს ზედმეტად პერსონიზირებული პოლიტიკური კულტურას, რომელიც მას ლათინური ამერიკის კლასიკურ საპრეზიდენტო პოლიტიკურ სისტემებთან აახლოებს. თუმცა, ლათინური ამერიკისგან განსხვავებით, საქართველოში თითქმის არ არსებობს მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიების მატარებელი პოლიტიკური პარტიები. ამ ორი ფაქტორის კომბინაცია აფერხებს პარლამენტის უნარს, მოახდინოს აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტური მონიტორინგი.

## ისტორია: საქართველოს მუდმივად ცვალებადი კონსტიტუცია

კონსტიტუციები ხშირად არ უნდა იცვლებოდეს და უნდა წარმოადგენდეს ფუნდამენტური პრინციპების, ძირითადი ღირებულებებისა და წესების ნაკრებს, რომლებიც სახელმწიფო სისტემის საფუძველს განსაზღვრავს.

საქართველოში ასე არ არის. საქართველოს კონსტიტუცია 33-ჯერ შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1995 წელს მიიღეს<sup>1</sup>. ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს კონსტიტუცია უფრო მეტჯერ შეიცვალა, ვიდრე

შეერთებული შტატების კონსტიტუცია ამ ქვეყნის მთელი არსებობის მანძილზე.

საქართველოს თანამედროვე კონსტიტუციური ცხოვრება 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო, როცა ეროვნული მოძრაობის ლიდერი, ზვიად გამსახურდია, უდიდესი უმრავლესობით აირჩიეს პრეზიდენტად 1921 წელს მიღებული კონსტიტუციის შეცვლილი ვერსიის საფუძველზე. ახალი კონსტიტუცია 1995 წელს მიიღეს, რომლის მიხედვითაც საქართველო ნახ-



ევრად-საპრეზიდენტო სისტემად ჩამოყალიბდა. 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი ფართო უფლებებით სარგებლობდა, მათ შორის, მინისტრების დათხოვნის, რეგიონალური გუბერნატორების დანიშვნის, და პარლამენტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენის უფლებებით. პარლამენტმა მთავრობის დამტკიცების მნიშვნელოვანი როლი შეინარჩუნა. ამას გარდა, პრეზიდენტს არ ჰქონდა პარლამენტის ერთპიროვნულად დათხოვნის უფლება. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ, ახლად არჩეულმა მთავრობამ გამოიყენა კონსტიტუციური უმრავლესობა იმისათვის, რომ კონსტიტუცია მნიშვნელოვნად შეეცვალა. 2004 წელს, პარლამენტის მიერ მიღებულმა ცვლილებების პაკეტმა განსაზღვრა ის, რასაც სუპერ საპრეზიდენტო სისტემა ეწოდება. პრეზიდენტს, 2004-2013 წლებში, სხვა უფლებებთან ერთად, ჰქონდა უფლება, გამოეცა განკარგულებები, დამუქრებოდა პარლამენტს დაშლით და გამოეყენებინა ვეტო. პრეზიდენტის გადაყენება მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობას შეეძლო. ამ უფლებამოსილებების გამოყენება ხშირად არ ხდებოდა, რადგან ყოფილი

მმართველი პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით სარგებლობდა. ამან საშუალება მისცა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, კონსტიტუცია მეტ-ნაკლებად საკუთარი შეხედულებისამებრ შეეცვალა, რაც, მისი პრეზიდენტობის ათწლიანი პერიოდის განმავლობაში 27-ჯერ განხორციელდა.

2009 წელს, მთავრობამ შექმნა საკონსტიტუციო კომისია ქვეყნის მთავარ კანონში დამატებითი ცვლილებების რეკომენდაციების მოსამზადებლად, რომლის მიხედვითაც სუპერ საპრეზიდენტო სისტემა უფრო დაბალანსებულ სისტემაზე გადავიდოდა. ეს ცვლილებები 2010 წელს მიიღეს და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ შევიდა ძალაში. მიუხედავად ამისა, 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის დამარცხებამ გამოიწვია რთული კოჰაბიტაციის პერიოდი, რომლის დროსაც პრეზიდენტი ინარჩუნებდა ფორმალურ ძალაუფლებას ძველი კონსტიტუციის მიხედვით, თუმცა, რეალური ძალაუფლება თანდათან პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის და მისი კოალიციის, „ქართული ოცნების“ ხელში გადავიდა.

## **პარლამენტის კონსტიტუციური უფლებები 2013 წლის შემდგომ: არაპრეზიდენტული შედეგები**

2013 წლის 17 ნოემბერს, როდესაც გიორგი მარგველაშვილმა საპრეზიდენტო ფიცი დადო თბილისში, ყოფილი პარლამენტის შენობის ეზოში, ამოქმედდა რამდენიმე საკონსტიტუციო რეფორმა, რომლის შედეგადაც საქართველო საპრეზიდენტო პოლიტიკური სისტემა აღარ არის.

ამ ცვლილებებს, წესით, საპარლამენტო უფლებამოსილებების გაზრდა უნდა მოჰყოლოდა საპრეზიდენტო ძალაუფლების შეზღუდვის ხარჯზე, თუმცა, რეალობა ბევრად უფრო ნიუანსური აღმოჩნდა.

პარლამენტმა ნამდვილად უფრო მნიშვნელოვანი როლი შეიძინა მთავრობის დამტკიცების პროცესში. 2013 წლის შემდეგ, პარლამენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს ხმათა უმრავლესობის საფუძველზე. პრეზიდენტს მხოლოდ სიმბოლური როლი აქვს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უნდობლობის გამოცხადება ხდება. პარლამენტი ასევე ხელახლა ამტკიცებს მთავრობას, თუ მინისტრების მესამედზე მეტი იცვლება. ძლიერი პარლამენტის უზრუნველსაყოფად ნამდვილად უფრო მეტია საჭირო, ვიდრე მთავრობის დანიშნვაში მისი როლის გაზრდაა. ბევრი სხვა თვალსაზრისით, პარლა-

მენტის ძალაუფლება დღესაც ისეთივეა, როგორც საკონსტიტუციო ცვლილებებამდე იყო. ხშირ შემთხვევაში, საკანონმდებლო ხელისუფლება სუსტია.

პარლამენტის სისუსტე ალბათ ყველაზე თვალსაჩინოდ ვლინდება სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში. პარლამენტს არ აქვს უფლება, შეცვალოს სახელმწიფო ბიუჯეტი და დგება დათხოვნის საფრთხის წინაშე, თუკი ბიუჯეტის დამტკიცებაზე უარს იტყვის. ეს ფაქტობრივად ნიშნავს, რომ ბიუჯეტი მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა.

მთავრობას, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, ძველი კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტისთვის მინიჭებული არაერთი უფლება მემკვიდრეობით ერგო. მთავრობა “ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას” და ერთპიროვნულად ნიშნავს რეგიონალურ გუბერნატორებს. უცხო ქვეყნებში ელჩების დანიშვნისთვის პარლამენტის თანხმობა არ არის საჭირო. მთავრობის წევრების მესამედი ასევე შეიძლება პარლამენტის მონიტორინგის გარეშე, პრემიერ-მინისტრის

მიერ შეიცვალოს. ამ უფლებამოსილებების გამო, არაერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა, სუპერ საპრეზიდენტო სისტემა სუპერ პრემიერ-მინისტრული კონსტიტუციით შეიცვალა.

როგორც კი მთავრობის დანიშნვა ხდება, საქართველოს პარლამენტი ასევე მნიშვნელოვანწილად კარგავს მთავრობაზე ზემოქმედების შესაძლებლობას, რადგან ნდობის არგამოცხადების პროცედურა ხანგრძლივი და რთული პროცესია და პარლამენტის დათხოვნის მნიშვნელოვან რისკს შეიცავს. ამის გასაკეთებლად, თავდაპირველად, პარლამენტის ორმა მეხუთედმა უნდა წამოაყენოს ინიციატივა ამ პროცედურის დასაწყებად; ამის შემდგომ, პირველი კენჭისყრა ხდება უნდობლობის გამოცხადების

პროცედურის დასაწყებად. თუ ამ ინიციატივას მიიღებენ, უნდობლობა მეორე კენჭისყრის დროს ცხადდება და პარლამენტმა იმავდროულად უნდა წამოაყენოს პრემიერ-მინისტრის შემცვლელის კანდიდატურა. თუ პარლამენტი შემცვლელთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდება, პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნოს. პრეზიდენტს ასევე აქვს უფლება, უარი თქვას პარლამენტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატის დანიშვნაზე. თუ ასე მოხდა, პარლამენტს შეუძლია, ან დაძლიოს საპრეზიდენტო ვეტო სამი-მეხუთედის უმრავლესობით, ან დადგეს პრეზიდენტის მიერ დათხოვნის საფრთხის წინაშე. ამ პროცესს სამ თვემდე დრო შეიძლება დასჭირდეს.

## საქართველოს პარლამენტი 2012-2016 წლებში: დადებითი ცვლილებები

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში გამუდმებით იცლებოდა. თუმცა, 2008-2012 წლებში პარლამენტის მნიშვნელობა ყველაზე მეტად შემცირდა. პრეზიდენტ სააკაშვილის მთელი მმართველობის პერიოდში 2012 წლის ოქტომბრამდე, ნაციონალური მოძრაობის მთავრობა საკონსტიტუციო უმრავლესო-

ბას ფლობდა. შესაბამისად, პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების გადანაცვლებების ავტომატურ რეჟიმში მიმდებ ორგანოდ იქცა. თუმცა, სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდის პირველ პარლამენტში არსებული ვითარებისაგან განსხვავებით, 2008-2012 წლებში ოპოზიციის უმრავლესობა მას ბოიკოტს უცხადებდა. პარლამენტი არა მხოლოდ ამტკიცებდა

მთავრობის შემოთავაზებულ კანონებსა და ცვლილებებს ზედმეტი კითხვების გარეშე, არამედ აღარ გამოხატავდა ქვეყანაში არსებულ ძირითად პოლიტიკურ განსხვავებებს. მთავრობას და ოპოზიციას შორის დებატები არა პარლამენტში, არამედ საპროტესტო აქციების, მედია-დებატების და ბოიკოტების საშუალებით მიმდინარეობდა. ოპოზიცია ცდილობდა, მთავრობაზე ზეწოლა მოეხდინა ქუჩიდან წამოსული წნეხის და არა – საკომიტეტო განხილვების საშუალებით.

ვითარება დღევანდელ პარლამენტში უდავოდ გამოსწორდა. ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები ამჟამად ბოიკოტს უცხადებენ საკომიტეტო შეხვედრებს, თუმცა, პლენარულ სხდომებსა და დებატებში მონაწილეობენ. პარლამენტი ამჟამად ბევრად უკეთესად წარმოაჩენს ქართულ საზოგადოებაში არსებულ რეალურ პოლიტიკურ განსხვავებებს. დღესდღეობით ქუჩის საპროტესტო აქციები საპარლამენტო

პოლიტიკის დანამატს წარმოადგენს და არ ჩაენაცვლება მას. ზოგიერთი პრორუსული და სოციალურად კონსერვატიული პოლიტიკური ძალა, როგორცაა ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ და ირმა ინაშვილის „პატრიოტთა ალიანსი“, პარლამენტში წარმოდგენილი არ არის. თუმცა, ეს იმის გამო მოხდა, რომ ბურჯანაძის პარტიამ 2012 წლის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, ხოლო ინაშვილის პარტია 2012 წლის არჩევნების დროს უბრალოდ არ არსებობდა.

ბოლოდროინდელმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა ასევე უდავოდ გააძლიერა პარლამენტი. საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის აუცილებელი ბარიერის სამ მეოთხედამდე გაზრდამ უფრო განამტკიცა საკონსტიტუციო სტაბილურობა. იშვიათ შემთხვევებში ოპოზიცია და მთავრობა განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე თანამშრომლობს კიდევ, მაგალითად, საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

## პარლამენტის წინაშე არსებული გამოწვევა

საქართველოს საკანონდებლო ხელისუფლებაში განხორციელებული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, პარლამენტი ჯერ კიდევ არ არის ქართული პოლიტიკის ცენტრი. ნაწილობრივ, ამის მიზეზი თვითონ საკონ-

სტიტუციო ცვლილებების, როგორც ასეთის, შეზღუდულობაა. საქართველო არ არის საპარლამენტო რესპუბლიკა. აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტთან შედარებით კვლავაც დომინანტ როლს ასრულებს.

მიუხედავად ამისა, პარლამენტის ეფექტურობა არ შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციის ანალიზით შეფასდეს. არანაკლებ საგულისხმოა პარლამენტის არაეფექტური მუშაობის გამომწვევი სხვა ფაქტორებიც, მათ შორის, პროფესიონალიზმის ნაკლებობა პარლამენტის ადმინისტრაციულ აპარატში,

ისევე როგორც, მკვეთრად ინსტიტუციონალიზებული პარტიების არარსებობა და ალტერნატიული, არაფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების სიძლიერე. ეს გამომწვევები ქვეყნის უფრო ფართო პოლიტიკური კონტექსტისთვის დამახასიათებელი პრობლემებიდან გამომდინარეობს.

### არაფორმალური მმართველობის შენარჩუნება

მმართველობა არაფორმალური ინსტიტუტების მეშვეობით ყოველთვის იყო ქართული პოლიტიკური კულტურის განმსაზღვრელი ფაქტორი. საბჭოთა პოლიტიკური კულტურის ასპექტები, როგორცაა “ბლატის” (პირადი ურთიერთობების) ცენტრალური როლი, ისევე, როგორც ტრადიციული ქართული ღირებულებები, დაფუძნებული კონკრეტული თემების, ოჯახებისა და სოციალური ჯგუფების გარშემო, ერთიანობაში ისეთ პოლიტიკურ კულტურას აყალიბებს, რომელიც პირად ურთიერთობებს ფორმალურ ინსტიტუციებზე მაღლა აყენებს. საქართველოში მეგობრების, ოჯახის და მეზობლების მიმართ ერთგულება ზოგადად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – კონკრეტული იდეოლოგიის ან ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ იდე-

ოლოგიებს და ფორმალურ პოლიტიკურ ინსტიტუტებს მნიშვნელობა არ ენიჭება. საქართველოში პოლიტიკური მიკუთვნებულობა ხშირ შემთხვევაში განისაზღვრება იმით, თუ ვინაა შენი მეგობარი. ამ პროცესში ასევე უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური ინტრიგა, ვიდრე იდეები<sup>2</sup>.

პოლიტიკაში ეს კულტურა საქართველოს უახლეს ისტორიაში იმით გამოვლინდა, რომ ძალაუფლების კონცენტრაცია მცირე, ვიწრო ადამიანთა ჯგუფის, ანუ “კლანების” ხელში მოხდა. ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს, ყველაფერს პრეზიდენტის ახლო ნათესავები მართავდნენ, ქვეყნის უმსხვილესი მობილური კომპანიიდან დანყებულნი, საწვავის იმპორტით დამთავრებული. შევარდნაძის შემცვლელი, მიხეილ სააკაშვილი, ძლიერი ანტიკორუფციული პლატფორმით მოვიდა ხელისუფლებაში. მის დამსახურებას

ხშირად აღნიშნავენ ძირითადი ინსტიტუციების რეფორმირების და უნივერსიტეტებში, სკოლებში და პოლიციაში წვრილი მექრთამეობის აღმოფხვრის საქმეში. ამის მიუხედავად, სააკაშვილის დროს საქართველოში ძალაუფლება კონცენტრირებული იყო მისი მეგობრებისა და თანამოაზრეების ვიწრო ჯგუფის, ანუ “სამზარეულოს კაბინეტის” ხელში. ზოგი ფიგურა ძლიერ თანამდებობებს ფლობდა, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი; სხვებს კი, მაგალითად, გიგა ბოკერიას, სააკაშვილის მმართველობის უმეტესი პერიოდის განმავლობაში შედარებით უმნიშვნელო პოსტები ეკავა (პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე). თუმცა, ეს ფაქტი არ ასახავდა მათ რეალურ გავლენას პოლიტიკურ პროცესზე.

დღეს, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, არაფორმალური იერარქიების მიერ ფორმალური ინსტიტუციების დათრგუნვის ტრადიციამ ახალ დონეს მიაღწია. ქვეყანაში ყველაზე ძლიერ ფიგურად დღეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ყველაზე მდიდარი ქართველი ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევა, რომელსაც ფორმალური პოსტი არ ჰქონია მას შემდეგ, რაც 2013 წლის ნოემბერში თანამდებობა დატოვა. როდე-

საც მისი შემცვლელი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი, 2015 წლის დეკემბერში გაურკვეველი მიზეზების გამო, მოულოდნელად გადადგა, ბევრმა გამოითქვა ვარაუდი, რომ ივანიშვილმა გადაწყვიტა მისი “შეცვლა”, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს საკუთარ პოლიტიკურ პარტიაშიც კი არ უკავია რაიმე ფორმალური თანამდებობა. თავად ივანიშვილი უარყოფს მსგავს გადაწყვეტილებებში ჩარევას. ზოგიერთი მისი მოკავშირე კი აცხადებს, რომ ივანიშვილის როლი და გავლენა მთავრობაზე ოპოზიციის მიერაა გაზვიადებული.

თუმცა, მაშინ, როცა ოპოზიცია ივანიშვილს მთავრობის “რუხ კარდინალს” უწოდებს, არსებობს ანგარიშგასაწიფი საფუძველი იმის სათქმელად, რომ ივანიშვილი ინარჩუნებს მნიშვნელოვან გავლენას საქართველოს მთავრობაზე. მაგალითად, იგი ხშირად ესწრება კოალიცია „ქართული ოცნების“ სხდომებს. მმართველი კოალიციის წევრებსაც კი გაუკეთებიათ განცხადებები და ფაქტობრივად უღიარებიათ, რომ ივანიშვილს კვლავ მნიშვნელოვანი როლი აქვს. მაგალითად, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, რომლის ურთიერთობა მმართველი გუნდის წევრებთან საკმაოდ დაძაბულია, მკვეთრად მიანიშნა ივანიშვილით

იმედგაცრუებაზე, როდესაც განაცხადა, რომ „ქვეყანა უნდა იმართებოდეს ძლიერი ინსტიტუტებით და არა კულუარებიდან“. ის ფაქტი, რომ არაერთი ოფიციალური პირი პოლიტიკაში მოსვლამდე ივანიშვილთან მუშაობდა, ასევე მიანიშნებს ამ უკანასკნელის გავლენაზე. ამის გამო, ზოგიერთმა მთავრობას „ქართუ ბანკის კაბინეტი“ უწოდა. მართლაც, როგორც ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი, ისე მისი წინამორბედი, ირაკლი ღარიბაშვილი, წარსულში მნიშვნელოვან როლს იკავებდნენ ივანიშვილის „ქართუ“ ბანკში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ბოლოდროინდელმა ანგარიშმა გამოავლინა, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობის ოფიციალური პირების უდიდესი ნაწილი ადრე ივანიშვილის ფირმებში მუშაობდა<sup>3</sup>.

ამგვარი ვითარების აღნიშვნა მნიშვნელოვანია ქართული პარლამენტის ანალიზის დროს. არაფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების სიძლიერე (ან კი, ივანიშვი-

ლის შემთხვევაში, ერთი პიროვნების არაფორმალური ძალაუფლება) ხელს უშლის პარლამენტის მნიშვნელობისა და ეფექტურობის ზრდას. ის ვითარება, როდესაც რეალური პოლიტიკური გადაწყვეტილებები პარლამენტში არ მიიღება (და არც იმ ინსტიტუტებში, რომელიც ოფიციალურად ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის წინაშე), რეალურად ასუსტებს პარლამენტს. ეს ვითარება ამყარებს ისეთ საკონსტიტუციო სიტუაციას, რომელშიც პარლამენტს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მთავრობის თავდაპირველ დანიშნვაში, მაგრამ შემდგომ მისი იგნორირება ხდება. საქართველოსთვის რისკი იმაში მდგომარეობს, რომ (ისევე როგორც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის უმეტესი პერიოდის განმავლობაში), ამგვარი ვითარება ამცირებს პარლამენტის როლს და მას მხოლოდ არაფორმალური იერარქიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ავტომატურად დამკანონებელი ორგანოს როლს ანიჭებს.

## სუსტი პარტიული სისტემა

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ევროპული სტილის საპარლამენტო პოლიტიკის ჩამოყალიბებას უშლის ხელს, პოლიტიკური პარტიების სუსტი ინსტიტუციონალ-

იზაციაა.

ქართული პარტიები ვერ ახერხებენ სათანადოდ გამოხატონ საზოგადოების შესაბამისი სეგმენტების ინტერესები. იქმნება

შთაბეჭდილება, რომ ქართული პარტიების უმრავლესობა უმეტესწილად იმისთვის არსებობს, რომ ინდივიდუალური პოლიტიკური ამბიციის განხორციელებას შეუწყოს ხელი. ისინი წარმოადგენენ ელიტურ და არა სახალხო პარტიებს. მცირე გამონაკლისის გარდა, წევრების როლი მინიმალურია იმ პარტიებშიც კი, რომლებიც (ფორმალურად მაინც) გარკვეულწილად ანგარიშს უწევენ საკუთარი წევრების აქტიურობას.

რამდენადაც ქართული პოლიტიკური პარტიები იდეოლოგიურია, ისინი ტრადიციულ მემარცხენე-მემარჯვენე პოლიტიკურ სპექტრში ადვილად არ თავსდებიან. ნამდვილი იდეოლოგიური განსხვავება საქართველოში არის (უმეტესწილად პროდასავლურ) კოსმოპოლიტებსა და ნაციონალისტ, ტრადიციონალისტურ ძალებს შორის (რომელთაგან ბევრი აკრიტიკებს ევროპულ ინტეგრაციას). ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს ანგარიშგასანევი საარჩევნო წონის მქონე სოციალ-ლიბერალური, სოციალ-დემოკრატიული ან მემარცხენე პოლიტიკური პარტიები.

პარტიათა პოლიტიკური ალიანსები ამ ბუნდოვან იდეოლოგიურ განსხვავებებშიც არ თავსდება. მაგალითად, კოალიცია ქართული ოცნება წარმოადგენს პროდასავლური

ცენტრისტი ლიბერალების (მაგალითად, რესპუბლიკური პარტია და პარტია „ქართული ოცნების“ ნაწილი), მემარჯვენე ნაციონალისტი პოპულისტების (კონსერვატიული და „ეროვნული ფორუმი“), ბიზნეს ინტერესებისა და ძალაუფლების მოყვარული „მედროვეების“ ეკლექტურ ნაზავს. ერთ-ერთი წევრი პარტია, „მრენველები,“ პირდაპირ ეწინააღმდეგება მთავრობის საგარეო პოლიტიკას და მხარს უჭერს რუსეთის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანებას. ერთადერთი გამაერთიანებელი ფაქტორი ამ სხვადასხვა პლატფორმის მქონე ელემენტებს შორის არის ანტაგონიზმი ნაციონალური მოძრაობის მთავრობის მიმართ და ძალაუფლების სიყვარული.

თავის მხრივ, საკუთარი მმართველობის უმეტესი დროის განმავლობაში ნაციონალურმა მოძრაობამ თავი წარმოაჩინა, როგორც საბაზრო ლიბერტარიანულმა პარტიამ იმის მიუხედავად, რომ მის მიერ გატარებული პოლიტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მის მიერვე აღიარებულ იდეოლოგიურ პოზიციას. მისი მმართველობის დროს საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფოს როლი, რომლის დროსაც მცირე ბიზნესი იდევნებოდა საგადასახადო ხელისუფლების მიერ დაწესებული აბსურდული



ტექნიკური დეტალების გამო.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არ იყო იდეოლოგიურად თანმიმდევრული პარტია. მაგალითად, ერთი მხრივ, სკოლებში მათ შემოიღეს მილტონ ფრიდმანის სტილის დაფინანსების ვაუჩერული სისტემა, მეორე მხრივ კი, მოახდინეს ძალაუფლების ცენტრალიზაცია განათლების სამინისტროში, რამაც განაპირობა მასწავლებლების მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონტროლი. მიუხედავად მისი სეკულარული იდეოლოგიისა, ნაციონალური მოძრაობის არაერთ წამყვან ფიგურას ახლო კონტაქტი ჰქონდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ისევე როგორც შევარდნაძის პერიოდში განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა. სხვა პარტიებთან კონტაქტის თვალსაზრისით, მათ უკეთესი ურთიერთობა ჰქონდათ ტრადიციონალისტ, კონსერვატიულ ჯგუფებთან, როგორცაა ქრისტიან-დემოკრატიული პარტია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ვიდრე ისეთ პარტიებთან, რომელთაც თითქოს საერთო კოსმოპოლიტური, ლიბერალური იდეოლოგია აერთიანებდა (მაგალითად, რესპუბლიკელები ან თავისუ-

ფალი დემოკრატები).

გარდა ამისა, ქართული პარტიები სიცოცხლისუნარიანობით არ გამოირჩევიან. აღსანიშნავია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ერთადერთი სამთავრობო პარტიაა, რომელმაც განაგრძო არსებობა ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ. როგორც გამსახურდიას „მრგვალმა მაგიდა – თავისუფალმა საქართველომ“, ისე შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირმა ძალაუფლების დათმობის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. 2008-2012 წლის პარლამენტში მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ, ქრისტიან-დემოკრატებმა, ასევე თითქმის შეწყვიტა არსებობა. მისი ზოგიერთი წევრი ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობა – ერთიან საქართველოს“ შეუერთდა.

ამგვარი ვითარება საფრთხეს უქმნის პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის სიძლიერეს. ძლიერი, იდეოლოგიურად გამოკვეთილი პარტიების გარეშე, საკანონმდებლო ხელისუფლება კულისებს მიღმა მიმდინარე შიდა ელიტური პოლიტიკური ვაჭრობის არენად გადაქცევის საფრთხის წინაშე დგება. ამ შემთხვევაში კი იგი აღარ არის საჯარო პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც პარტიები პოლიტიკაზე კამათობენ.

## ინსტიტუციური უზუნდონიერების გამონვევა

კიდევ ერთი გამონვევა საქართველოს პარლამენტის წინაშე ისაა, თუ რამდენად კარგად ასრულებს ის თავის ძირითად ფუნქციებს, როგორცაა კანონების მიღება და მთავრობის საქმიანობის კონტროლი.

რამდენიმე პრობლემა პოლიტიკურია. ნაციონალური მოძრაობა მიჰყვება ქართულ პოლიტიკაში კარგად დამკვიდრებულ მოდელს, რომლის მიხედვითაც საპარლამენტო პროცესის ბოიკოტი უფრო მიღებული პრაქტიკაა, ვიდრე მასში მონაწილეობა. როდესაც საპარლამენტო კომიტეტები ქუთაისიდან ისევ თბილისში გადაიტანეს, ნაციონალურმა მოძრაობამ მათი ბოიკოტი გადაწყვიტა, რის შედეგადაც კომიტეტებმა მნიშვნელოვანი ოპოზიციური ხმა, ხოლო პარლამენტმა კონტროლის მნიშვნელოვანი ფუნქცია დაიკარგა. ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები ასევე იშვიათად აძლევენ ხმას იმ კანონმდებლობების წინააღმდეგ, რომელსაც სიტყვიერად აკრიტიკებენ და ამის ნაცვლად, თავის შეკავებას ამჯობინებენ. 2013 წლის 1 აგვისტოსა და 2014 წლის 13 მარტს შორის, ნაციონალური მოძრაობის წევრების პლენარულ სხდომებზე დასწრების სტატისტიკა იყო მხოლოდ 42 პროცენტი მაშინ, როცა მმართველი კოალიციის

88 პროცენტი ესწრებოდა ამ სხდომებს.<sup>4</sup> ამას გარდა, ოპოზიციური პარტიები იშვიათად გამოდიან საკუთარი საკანონმდებლო ინიციატივებით. 2013 წელს, საპარლამენტო უმრავლესობამ წამოაყენა 331 კანონი მაშინ, როდესაც უმცირესობის ფრაქციებმა ერთად მხოლოდ 15 კანონი წამოაყენეს.<sup>5</sup> თუმცა, არსებობს სხვა პრობლემებიც. მაგალითად, დეპუტატებისთვის პროფესიონალური დახმარების განწევა ისეთ ელემენტარულ საკანონმდებლო დავალებებში, როგორც კანონპროექტების შექმნაა. ევროპის საბჭოს ბოლოდროინდელი ანგარიშის მიხედვით, „არასაკმარისი ადამიანური რესურსები და კანონშემოქმედი პირების კვალიფიცირებული ცოდნის და უნარების ნაკლებობა, მნიშვნელოვნად აზიანებს პროექტების ხარისხს და ეს საკითხი დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს.“

ამას გარდა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა დეპუტატების მიერ საკუთარი წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით აქტუალურია მაჟორიტარული უბნების დეპუტატების შემთხვევაში, რომელთაგან ზოგიერთი იშვიათად სტუმრობს საკუთარ რაიონს და არ პასუხობს საარჩევ-

ნო ოლქებიდან წამოსულ კითხვებს<sup>6</sup>. გამოკითხულთა მხოლოდ 2 პროცენტმა თქვა, რომ

რაიმე კონტაქტი ჰქონდა ადგილობრივ დეპუტატებთან 2012 წლის შემდგომ<sup>7</sup>.

## დასკვნა და რეკომენდაციები

ქართული პარლამენტარიზმის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად იოლი გზები არ არსებობს. ბევრი ფაქტორი, რაც ძლიერი პარლამენტის განვითარებას აფერხებს, ქართული პოლიტიკური კულტურიდან მომდინარეობს. ეს კულტურა უფრო ახლოსაა ლათინური ამერიკის საპრეზიდენტო “დელეგატიურ დემოკრატიებთან”, ვიდრე ევროპული სტილის კონსოლიდირებულ პარტიულ საპარლამენტო სისტემებთან. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გარკვეული ზომების მიღება, რათა გაუმჯობესდეს პარლამენტის ეფექტურობა და მისი ცენტრალური როლი ქართულ პოლიტიკურ სისტემაში. ამისათვის კი აუცილებელია:

- დეპუტატებისთვის უკეთესი ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობამ უნდა ითანამშრომლოს როგორც საერთაშორისო დონორებთან, ისე ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს პარლამენტის უფრო მაღალი პროფესიონალური დონე. სამართლებრივი

ტრენინგები და უფრო გამოკვეთილი და მკაცრი კრიტერიუმების შემოღება საკანონმდებლო პროექტებზე მომუშავე საჯარო მოხელეების მიმართ (ისევე, როგორც მათთვის უკეთესი ანაზღაურება) ამჟამინდელ ვითარებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა.

- უფრო მეტი საჯარო კონსულტაცია კანონმდებლობასთან დაკავშირებით. საზოგადოება არ მონაწილეობს საპარლამენტო პოლიტიკაში. ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს მიაჩნია, რომ პარლამენტი კარგად მუშაობს. ამდენად, გამოკითხულთა პასუხების მიხედვით, პარლამენტი ყველაზე არაეფექტურ ინსტიტუტად ითვლება<sup>8</sup>. დღესდღეობით, შემოთავაზებულ კანონებთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციები არასაკმარისია. უმეტესწილად კანონების შექმნა, მიღება და შესწორება საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ხდება.
- პოლიტიკური პარტიების გაძლიერება

უკეთესი რეგულაციის საშუალებით. პოლიტიკური პარტიების სისუსტე ნაწილობრივ ქართული პოლიტიკური კულტურის შედეგია. ამის მიუხედავად, შესაძლებელია რეგულაციის ზომების მიღება იმისათვის, რომ განვითარდეს სახალხო პარტიები, რომელნიც უფრო ეფექტურად წარმოადგენენ საზოგადოების გარკვეულ სეგმენტებს. ერთ-ერთი ასეთი ზომა იქნებოდა პარტიების რეგულაციის გამკაცრება იმისათვის, რომ შიდა დემოკრატია გაძლიერდეს (ან თუნდაც ამერიკული სტილის ღია პრაიმერები ჩატარდეს), ან შემოღებულ იქნას მინიმალური წევრობის დონე მანამ, სანამ პოლიტიკური პარტიის რეგისტრაცია მოხდება. სხვა შესაძლებლობები, როგორცაა პროფკავშირების და ინტერეს ჯგუფთა პოლიტიკურ პარტიებთან კავშირის ლეგალიზება, ხელს შეუწყობდა იდეოლოგიურად უფრო მწყობრი პარტიების შექმნას. ასევე, კარგი იქნებოდა, პარტიებს ჰქონდეთ ლეგალური ვალდებულება, გამოაქვეყნონ საკუთარი პოლიტიკური პროგრამები ინტერნეტში. ასევე მნიშვნელოვანია საარჩევნო კამპანიების

ფინანსირების რეფორმა (მაგალითად, გაუქმებულ პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჩამოერთვას უფლება, რომ სახელმწიფოს მიერ მათთვის გამოყოფილი ფინანსები და საეთერო დრო ახალ პოლიტიკურ ძალებს გადასცენ). ქრისტიან-დემოკრატებმა სწორედ ეს გააკეთეს, როდესაც დემოკრატიულ მოძრაობა-ერთიან საქართველოს შეუერთდნენ. ეს ცვლილებები ხელს შეუწყობდა უფრო ძლიერი პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას.

- საპარლამენტო პოლიტიკური კულტურის საფუძვლიანი გაუმჯობესება. ქართულ პოლიტიკაში სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ლოიალური ოპოზიციის ტრადიცია არ არსებობს. საქართველოში პოლიტიკური ოპონენტებს მტრებად მიიჩნევენ, ხოლო პოლიტიკურ ინსტიტუტებს, რომელსაც სხვა პოლიტიკური პარტიები აკონტროლებენ, ბოიკოტს უცხადებენ, არალეგიტიმურად აცხადებენ და ძირს უთხრიან. პირველი, რასაც ყველა ახალი ქართული მთავრობა ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ აკეთებდა, ის იყო, რომ წინა მთავრობის წევრებს აპატიმრებდა. იმ შემთხვევებში, როდესაც აშკარა

რა კრიმინალური აქტები გამოვლინდა, ეს გასაგებია, მაგრამ, მთავარ პოლიტიკურ ძალებს აქვთ პასუხისმგებლობა, ამგვარი პოლიტიკური ქცევა დაძლიონ. მთავრობამ მეტი უნდა გააკეთოს იმისთვის, რათა (მაშინაც, როცა ეს არაპოპულარული ნაბიჯია), დაარწმუნოს ოპოზიციის წევრები, რომ ისინი ქართული პოლიტიკური პროცესის ლეგიტიმურ მონაწილეებად მიიჩნევიან. ასევე, ოპოზიციაც ნაკლებად უნდა დაეყრდნოს გაუთავებელ ბოიკოტებს და მეტად მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ ინსტიტუტების მუშაობაში.

- შეიქმნას დეპუტატების საჯარო მონიტორინგის უფრო ძლიერი მექანიზმები. ბევრი მაჟორიტარი პარლამენტარი იშვიათად თუ სტუმრობს იმ ოლქს, რომელსაც წარმოადგენს. ერთ-ერთი საშუალება იმის უზრუნველსაყოფად, რომ პარლამენტის წევრები უფრო სერიოზულად მიუდგნენ საკუთარ წარმომადგენლობით ფუნქციას

არის ის, რომ შემოდებულ იქნას მათი გადარჩევის მექანიზმი იმ უბნებში, სადაც ადგილობრივი დეპუტატები განსაკუთრებით უგულვებლყოფენ საკუთარ მოვალეობებს. საპარლამენტო მოღვაწეობაში არასაკმარისი მონაწილეობა ასევე უნდა აღმოიფხვრას ფინანსური ჯარიმების დაწესების გზით იმ დეპუტატებისთვის, რომლებიც კენჭისყრაში არ მონაწილეობენ.

- შესაძლებელია დამატებითი საკონსტიტუციო რეფორმის გატარება პარლამენტის გასაძლიერებლად. ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის არაერთი რეკომენდაცია კონსტიტუციასთან დაკავშირებით არ განხორციელებულა. ორპარტიული შეთანხმება კონსტიტუციის შესასწორებლად იმისათვის, რომ გაიზარდოს პარლამენტის როლი სახელმწიფო ბიუჯეტში და გამარტივდეს უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი, მნიშვნელოვნად გააძლიერებდა პარლამენტის ძალაუფლებას.

## ბიბლიოგრაფია:

- <sup>1</sup> ამ დამატებების სრული დეტალები იხილეთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=0>
- <sup>2</sup> რამდენიმე ქართველი პოლიტიკოსი ამის თვალსაჩინო მაგალითია; ყოფილი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე, - ალბათ ყველაზე გამოკვეთილი მაგალითი. ბურჯანაძემ თავისი პოლიტიკური კარიერის უდიდესი ნაწილი გაატარა, ჯერ როგორც წამყვანმა ფიგურამ “ახალგაზრდა რეფორმატორებში”, რომელიც შევარდნაძის მმართველი მოქალაქეთა კავშირის პროდასავლური ფრაქცია იყო, შემდგომ, მკვეთრად პროატლანტიკურ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შეუერთდა. თუმცა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების პარტიულ სიებთან დაკავშირებით მომხდარი უთანხმოების შედეგად, ბურჯანაძემ დატოვა პარტია და ორ წელიწადზე მცირე დროში ვლადიმერ პუტინის გვერდით მოგვევლინა, როგორც საქართველოს ყველაზე გამოკვეთილი პრორუსული პოლიტიკოსი.
- <sup>3</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა. ივანიშვილის კომპანიები - თანამდებობის პირების სამჭედლო. 22/04/15. <http://www.transparency.ge/en/blog/ivanishvilis-companies-forge-government-officials>
- <sup>4</sup> სტატისტიკა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდიდან, იხილეთ შემდეგ მისამართზე: <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/saproceduro-sakitxta-da-wesebis-komite-ti-148/informacia-parlamentis-plenarul-da-komitetis-sxdomebze-parlamentis-wevrta-daswre-bis-shesaxeb-2013-wlis-1-agvistodan-2014-wlis-13-martamde-periodshi/statistikuri-monacemebi/daswre-bis-monacemebi-saparlamento-umravesobis-saparlamento-unciresobisa-da-saparlamento-fraqciebis-mixedvit>
- <sup>5</sup> ეუთო/ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. საქართველოში საკანონმდებლო პროცესის შეფასება. იანვარი 2015. [http://www.legislationline.org/download/action/download/id/5843/file/256\\_Legis\\_Assessment\\_GEO\\_Jan\\_2015\\_en.pdf](http://www.legislationline.org/download/action/download/id/5843/file/256_Legis_Assessment_GEO_Jan_2015_en.pdf)
- <sup>6</sup> საქართველოს მერვე მონვევის პარლამენტის პირველი წლის მუშაობის შეფასება. 2014. <http://goo.gl/qQVB0U>
- <sup>7</sup> ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისი. საზოგადოებრივი განწყობები საქართველოში. ჩილჩ საქართველოს მიერ ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტისთვის 2015 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის შედეგები. აპრილი 2015 [https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia\\_April%202015%20Poll\\_Public%20Issues\\_ENG\\_VF\\_0.pdf](https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_April%202015%20Poll_Public%20Issues_ENG_VF_0.pdf)
- <sup>8</sup> ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისი. საზოგადოებრივი განწყობები საქართველოში. CRRC საქართველოს მიერ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისთვის 2015 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის შედეგები (პოლიტიკური). აპრილი 2015. [https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia\\_April%202015%20Poll\\_Public%20Political\\_ENG.pdf](https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_April%202015%20Poll_Public%20Political_ENG.pdf)



ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა:  
საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებზე მცხოვრებთა  
ევროპული არჩევანის და  
დემოკრატიზაციის პერსპექტივები

პოლიტიკის დოკუმენტი IV

მაისი 2016





## ანა წურწუმია-ზურაბაშვილი\*

### შესავალი

2015 წლის ბოლოს, ევროკომისიის მიერ საქართველოში ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის დადებითმა შეფასებამ,<sup>1</sup> რეალური გახადა უახლოეს მომავალში საქართველოს პასპორტის მქონე პირებისთვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა. მართალია, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო ბარიერების მოხსნის ზუსტი თარიღი ჯერ კიდევ უცნობია, თუმცა, ევროპასთან უვიზო მიმოსვლა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა საქართველოს სახელმწიფოსკენ შემობრუნების რეალურ მექანიზმად და ნაწილობრივ დემოკრატიზაციის პროცესის ხელშემწყობ ფაქტორადაც მიიჩნევა.

ევროპეიზაცია გარკვეულწილად დემოკრატიზაციის წამახალისებელ პროცესად მიიჩნევა, რადგან ინტეგრაციის გზა მოითხოვს რეფორმებს, დემოკრატიული სტანდარტების მიღწევას, ადამიანის უფლებების დაცვას თუ კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას.

ევროინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯების პარალელურად, საქართველოს მთავრობა მუდმივად სთავაზობს აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს “ევროპულ პერსპექტივას”, თუმცა არალიარებული ხელისუფლებებისთვის ევროპასთან საქართველოს გავლით დაახლოვება მიუღებელია.

ამავე დროს, რუსეთის ფედერაციასთან გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულებები, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივ ანექსიაზე მიუთითებს. ეს რეგიონები თავდაცვის, სამხედრო, ეკონომიკურ თუ სოციალურ სფეროებში მთლიანად რუსეთზე არიან დამოკიდებული და საზღვარგარეთ მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტით მიემგზავრებიან.<sup>2</sup>

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია არამარტო უვიზო მიმოსვლას, არამედ ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობასაც ითვალისწინებს, რაც სურვილის შემთხვევაში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც

\* ანა წურწუმია-ზურაბაშვილი – ქალაქ დუბლინის უნივერსიტეტის Marie Skłodowska-Curie სახელობის სადოქტორო მკვლევარი

გავრცელდება, რადგან თანამშრომლობის ფორმატი საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს ეხება.<sup>3</sup>

ევროინტეგრაციის პროცესში, კანონმდებლობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გამართვის, დემოკრატიზაციის კუთხით არაერთი მოთხოვნა იქნა წამოყენებული საქართველოსთვის. თუმცა, ასოცირების წინაპირობად არასოდეს დაუყენებიათ ქვეყნის ტერიტორიული პრობლემების მოგვარება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ ოფიციალურად აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. რუსეთის “აღიარების პოლიტიკის” საპასუხოდ, 2009 წლის დეკემბერში ევროკავშირის პოლიტიკურმა და უსაფრთხოების კომიტეტმა მიიღო ახალი დოკუმენტი “აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ევროკავშირის არაღიარების და ევროკავშირის ჩართულობის პოლიტიკის პარამეტრების შესახებ”. ამ ორი პრინციპიდან პირველი (არაღიარება) არის რეაქცია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივ აღიარებაზე, რაც ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას ეფუძნება. მეორე (ჩართულობა) მოტივირებულია კონფლიქტის რე-

გიონების „დეიზოლაციისაკენ“ მისწრაფებით, რაც ასევე გულისხმობს რუსეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების შემცირებას, ალტერნატიული (ევროპული) ღირებულებების გავრცელებას, ნდობის მშენებლობას, საქართველოს საერთო სივრცესთან მეტინტეგრაციას და, საბოლოო ჯამში, ევროკავშირისათვის მის უშუალო სამეზობლოში „თეთრი ლაქებისა“ თუ „შავი ხვრელებიდან“ გამომდინარე საფრთხის ნიველირებას.<sup>4</sup>

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიერ ევროპული არჩევანის გაკეთების პერსპექტივის შესაფასებლად, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის წარმოაჩენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას, როგორც დემოკრატიზაციის ისე რუსეთთან ინტეგრაციის საშიში პროცესის კუთხით.

მოლდოვასა და კვიპროსის მაგალითების მიმოხილვით, დოკუმენტი წარმოაჩენს იმ გამოცდილებას, რომელიც ამ ქვეყნებმა მიიღეს სეცესიური რეგიონებისთვის ევროპული პერსპექტივის შეთავაზების შედეგად. იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირთან უფიზო მიმოსვლით, საქართველოს საშუალება ეძლევა ხელშესახები სიკეთეები შესთავაზოს ოკუპირებული ტერიტორიებზე მაცხოვრებლებს, საჭიროა გაანალიზდეს ამ

შეთავაზებების მოსალოდნელი შედეგები. პოლიტიკის დოკუმენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა ნათლად იყოს წარმოჩენილი ის საფრთხეები, რასაც საქართვე-

ლოს ოკუპირებული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციასთან მეტი ინტეგრაცია შეიცავს, აგრეთვე ისიც, თუ როგორ შეიძლება ევროპასთან ინტეგრაციის/დემოკრატიზაციის დაპირისპირება ამ პროცესთან.

## არსებული ვითარების ანალიზი

არალიარებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) საქართველოს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში არიან მოქცეული და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის გაღრმავების პარალელურად, მოიაზრებიან ევროპული სიკეთეების მიმღებებად. თუმცა, მაშინ როდესაც, ევროპული ინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის მთავარი ტესტი დემოკრატიული პროცესების წარმართვა იყო, ამ ორ რეგიონში დემოკრატიზაციის პერსპექტივა ნაკლებად შეინიშნება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დემოკრატიზაციის მიმართ მომძლავრებული სკეპტიციზმი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ არალიარებული ხელისუფლებები აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში დემოკრატიულ პროცესებზე და ე.წ. თავისუფალ არჩევნებზე თუ ხელისუფლების რეგულარულ ცვლილებებზე მიუთითებს. უფრო

მეტიც, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ამტკიცებს, რომ ტერიტორიაზე მრავალპარტიული არჩევნები ტარდება. თუმცა, ამ ორ რეგიონში მიმდინარე პროცესები ბევრი ასპექტით ეწინააღმდეგება დემოკრატიზაციის ნიშნებს. მაგ. აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის გადანყვეტილებით, 2015-2016 სასწავლო წელს გალის რაიონის ყველა დაწყებითი კლასის მოსწავლემ (1-4 კლასი) სწავლა რუსულად, რუსეთის ფედერაციაში გამოცემული სახელმძღვანელოებით დაიწყო. შედეგად, ქართველებს ეზღუდებათ მშობლიურ ენაზე სასკოლო განათლების მიღების უფლება და ეს ქმნის ხარისხიანი განათლების მიღებისა და განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას.<sup>5</sup> გარდა ამისა, აფხაზეთში მწვავედ დგას ადამიანის უფლების საკითხები: მაგ. ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაზე გაცემული ადგილობრივი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების კონფისკაციის საკითხი

მუდმივად არის წინასაარჩევნო სპეკულირების თემაა.

Human Rights Watch-ის ანგარიშის მიხედვით<sup>6</sup>, აფხაზეთში პერმანენტულად ირღვევა ადამიანის გადაადგილების თავისუფლება, რაც გამონვეულია ადმინისტრაციულ საზღვარზე ქართველებისთვის შექმნილი გადაადგილების სირთულეებით. მდგომარეობა გაუარესდა 2008 წლის ომის შემდეგ, როცა ენგურზე რუსი მესაზღვრეები ჩააყენეს და აფხაზებმა პრაქტიკულად დაკარგეს კონტროლი ე.წ. საზღვარზე.

იმ პირობებში, როდესაც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკური აფხაზების გარდა ცხოვრობენ ქართველები, რუსები და სომხები (მოსახლეობის ნახევარზე მეტი) – აფხაზები ერთადერთი ჯგუფია, რომელსაც პოლიტიკური თუ სხვა სახის თავისუფლებები სრულად ეძლევა. აფხაზი ჟურნალისტის განცხადებით: „აფხაზები ერთადერთი ჯგუფია, რომელიც თავისუფლად ცხოვრობს.“<sup>7</sup> ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, დღევანდელი აფხაზეთი, გამონახული ეთნოკრატიაა.

ამ კუთხით ცხინვალის რეგიონი კიდევ უფრო მწვავე კრიტიკის ობიექტია. ბოლო რამდენიმე წელია, მიმდინარეობს საზღვრის გადმონვევისა და ბორდერიზაციის პროცესი,

რომელსაც რუსეთის ჯარი ახორციელებს. ამ პროცესში ათეულობით ქართული ოჯახის კარ-მიდამო მავთულხლართებს მიღმა აღმოჩნდა. ამავე დროს, ხშირია ადამიანების ცხინვალის მიმართულებით გატაცების და დაკავების ფაქტები. პერიოდულად იზღუდება ახალგორის მოსახლეობის გადაადგილების უფლებები. ისევე როგორც აფხაზეთში, ეთნიკური ქართველები ცხინვალშიც პოლიტიკური პროცესების მიღმა არიან დარჩენილი.<sup>8</sup>

უახლესი მონაცემებით, სამხრეთ ოსეთი რუსეთთან მიერთების საკითხზე რეფერენდუმის გასამართად ემზადება, რაც ჩატარების შემთხვევაში არალეგიტიმურად ჩაითვლება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არალიარება, მათი არსებობის ცალკე განზომილებაა.

ამჟამად, აფხაზეთს და ცხინვალს რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ აღიარებს. ამ ორი რეგიონიდან, საგარეო ლეგიტიმაციის მოპოვების და გარკვეული ფასადური დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების მცდელობები უფრო მეტად აფხაზეთში შეინიშნება. აფხაზეთის კულტურული ანსამბლები თუ სპორტული გუნდები ხშირად იღებენ მონაწილეობას აფხაზეთს გარეთ

გამართულ ღონისძიებებში. გარდა ამისა, ხშირია სოხუმის მცდელობები საერთაშორისო ტურისტულ სიმპოზიუმებში მიიღოს მონაწილეობა და რეგიონის ტურისტული პოტენციალი განავითაროს.

ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებში აფხაზები რუსული პასპორტებით მიემგზავრებიან. აფხაზეთის მაცხოვრებლებს საზღვარგარეთ გასამგზავრებელ ვიზაზე განაცხადის გაკეთება ადგილობრივი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით არ შეუძლიათ, რადგან მას არც ერთი საკონსულო არ აღიარებს (ნიკარაგუას, ვენესუელას და ნაურუს გარდა).

აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური აფხაზები ძირითადად რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული პასპორტებით იღებენ ევროპის ვიზებს. თუმცა, ისინი ხშირად აცხადებენ, რომ სავიზო განყოფილებები აფხაზეთში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებზე გაციემულ პასპორტებს ადვილად არჩევენ და ეს გავლენას ახდენს მათ გადაწყვეტილებებზე.

რუსეთის ფედერაციის აქტიური პასპორტიზაციის პოლიტიკის საპასუხოდ, 2011 წელს საქართველოს მთავრობამ აფხაზებს და ოსებს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი და პირადობის მოწმობა შესთავაზა. სამგზავრო დოკუმენტი 10-ზე მეტმა სახელმწიფომ აღიარა, მაგრამ არაღიარებულ ერთეულებში მცხოვრებთათვის ეს შეთავაზება მიმზიდველი არ აღმოჩნდა.

წინა წლებისგან განსხვავებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს ანგარიშები არ შეიცავს ინფორმაციას, იმის შესახებ თუ რა რაოდენობის ნეიტრალური პირადობის მოწმობები და სამგზავრო დოკუმენტები გაიცა. მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, მოქმედი მთავრობის პირობებში ამ დოკუმენტებზე მოთხოვნა არ არსებობს და წინა ხელისუფლების პირობებშიც განაცხადების რაოდენობა საერთო ჯამში, რამდენიმე ასეულს არ აჭარბებდა.<sup>9</sup>

## აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის განწყობები

რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 წელს აფხაზეთთან და ცხინვალთან ინიცირებული შეთანხმებები „თანამშრომლობის, ინტეგრაციის და პარტნიორობის“ შესახებ,

ითვალისწინებს ურთიერთშეთანხმებული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, საერთო თავდაცვის და უსაფრთხოების სივრცისა და საერთო სოციალური და

ეკონომიკური სივრცის შექმნას. ცხინვალისგან განსხვავებით, რომლისთვისაც რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაცია მისაღებია, სოხუმში დოკუმენტმა დე ფაქტო ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფების პროტესტი გამოიწვია. იმ დროს, როცა სოჭში რუსეთის ფედერაციისა და თვითღიარებული აფხაზეთის პრეზიდენტები “მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ” ხელშეკრულებას აწერდნენ ხელს, სოხუმში ხელშეკრულების გაფორმების მოწინააღმდეგეების აქცია იმართებოდა.<sup>10</sup>

ფაქტობრივი ანექსიისკენ მიმართული ამ შეთანხმებების მიღებამდე, ჯერ კიდევ 2010 წელს, აფხაზი მაღალჩინოსანი ირაკლი ხინთბა წერდა, რომ „ევროკავშირის რბილი ძალა კონფლიქტების ტრანსფორმირების, მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მოდერნიზების ეფექტური მექანიზმია. თუმცა, ევროკავშირის ჩართულობა არ უნდა ეფუძნებოდეს ნულოვანი ჯამის თამაშს რუსეთთან მიმართებაში. არამედ, ქართულ-აფხაზურ კონტექსტში მექანიზმები უნდა იყოს შემუშავებული მა-

ქსიმალური თანამშრომლობისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. აფხაზეთი დაინტერესებულია ევროპის ჩართულობით, რადგან უპირველესია დეიზოლაციის საჭიროება. თუმცა, ამ პროცესის პოლიტიზება და ევროკავშირის აფხაზეთში ჩართულობა საქართველოს გავლით, გამოიწვევს აფხაზეთის ჩაკეტვას ნებისმიერი სახის დასავლური გავლენებისგან, რაც თავისთავად არ უნდა წარმოადგენდეს ევროკავშირის ინტერესს.“<sup>11</sup>

ნათელია, რომ ამჟამად საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ინდივიდებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ევროპეიზაციის დადებითი მხარეებისა და რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაციის შესაძლო შედეგების შესახებ. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, საკმარისად ხელშესახები არ არის საქართველოს მეშვეობით ევროკავშირთან დაახლოების ის პირდაპირი სარგებელი, რომლებიც ანტი-დასავლური, იმპერიალისტური ზრახვების მქონე ძალის, რუსეთის ფედერაციის ალტერნატივად შეიძლება იქნას განხილული ამ საზოგადოებებში.

## საქართველოს შეთავაზება – “ევროპული პერსპექტივა”

2014 წელს, ბრიუსელში ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ცერემონიაზე სიტყვით გამოსულმა იმჟამინდელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, ყურადღება გაამახვილა იმ შესაძლებლობებზე, რომელსაც ევროინტეგრაცია იძლევა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით. ლარიბაშვილმა დასძინა, რომ ევროინტეგრაციის სიკეთეებით სარგებლობას შეძლებენ აფხაზები და ოსები.<sup>12</sup>

მსგავსი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს: “ეს გზა უნიკალურია ჩვენი მთავარი პრობლემის, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების კუთხით, რადგან ჩვენ აფხაზ და ოს ძმებს ვთავაზობთ ყველა იმ სიკეთეს, რასაც ევროკავშირთან ასოცირებით მივიღებთ. ჩვენ მათ შევთავაზებთ ევროპული საქართველოს მშენებლობას და ამ სახელმწიფოში დაცული იქნება ნებისმიერი ეთნიკური, პოლიტიკური და სოციალური ჯგუფის უფლებები”.<sup>13</sup>

საქართველოს მიერ ევროკავშირთან 2014 წლის ივნისში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ, შესაბამისი რეაქცია გამოიწვია აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებაში.

კერძოდ, 2014 წლის 30 ივნისს არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადებით: „მიუხედავად იმისა, რომ თბილისსა და ბრიუსელს შორის პარტნიორობის გაღრმავება არ გამოიწვევს რამე სახის მნიშვნელოვან და პირდაპირ გავლენას აფხაზეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, დასავლეთის გეოპოლიტიკური გაძლიერება კავკასიაში და აფხაზეთის, როგორც რუსეთის მოკავშირის სტრატეგიული მდებარეობა დასავლეთის გავლენის სფეროების საზღვარზე, შეიძლება აფხაზეთისთვის გახდეს საფუძველი დამატებითი ძალისხმევა მიმართოს რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული პარტნიორობის განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად.”<sup>14</sup>

მსგავსი იყო აფხაზეთის რეაქცია 2015 წლის ბოლოს, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების დადებითი შეფასების შემდეგ: “საქართველოს განცხადება აფხაზეთის მოქალაქეებისთვის ბიომეტრიული პასპორტების გაცემის გამარტივებაზე – მორიგი მცდელობაა მოატყუონ ისინი ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის თაობაზე “, – ამის შესახებ განაცხადა კან ტანიამ, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.<sup>15</sup>



## კვიპროსისა და მოლდოვას გაკვეთილები

საქართველომდე, უვიზო რეჟიმი ევროკავშირთან აღმოსავლეთის პარტნიორობის კიდევ ერთმა ნევრმა, მოლდოვამ მიიღო. საქართველოს მსგავსად, მოლდოვაც ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, მისგან გამოყოფილ დნესტრისპირეთში. მოლდოვის მოქალაქეების დიდ ნაწილს (300,000) უკვე ჰქონდა მინიჭებული რუმინეთის მოქალაქეობა, რაც მათ ევროკავშირში გამგზავრებას უადვილებდა. ბრიუსელის გადაწყვეტილება მოლდოვისთვის უვიზო რეჟიმის მინიჭების შესახებ, უფრო მეტად მიმართული იყო მოლდოვას და მათ შორის დნესტრისპირეთის ევროპასთან დასახლოებლად. დნესტრისპირეთი, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სხვა არაღიარებული ერთეულების მსგავსად, რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით არსებობს.

მოლდოვას სასაზღვრო პოლიციის მონაცემებით, მხოლოდ 2014 წელს დნესტრისპირეთის დაახლოებით 27 000-მა მცხოვრებმა გააკეთა განაცხადი მოლდოვას ბიომეტრიულ პასპორტზე, რაც აუცილებელია ევროკავშირში უვიზო მიმოსვლისთვის.

აღსანიშნავია, რომ ღრმა პოლიტიკურ

კრიზისში მყოფ მოლდოვას, უვიზო მიმოსვლისა და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ამოქმედების შემდეგ, დნესტრისპირეთის პრობლემის მოსაგვარებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. მართალია, სიკეთეების სანაცვლოდ ევროკავშირს მოლდოვასთვის კონფლიქტის მოგვარების წინაპირობა არ წამოუყენებია, ქვეყნის ხელისუფლებამ არ გადადგა ნაბიჯები, რათა დნესტრისპირეთის ევროპასთან დაახლოვება ამ კუთხით გამოეყენებინა.

მოლდოვასგან განსხვავებით, კვიპროსი 10 წელზე მეტია, რაც ევროკავშირის წევრი გახდა, თუმცა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი კვლავ გადაუჭრელია. კვიპროსმა ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი 1990 წელს გააკეთა. 1997-დან 1999 წლამდე ევროგაერთიანება კვიპროსის განვირიანების წინაპირობად ჩრდილოეთ კვიპროსის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას აყენებდა. 1999 წელს, ეს წინაპირობა მოიხსნა და 2004 წელს კვიპროსი ევროკავშირის წევრი გახდა ჩრდილოეთ კვიპროსის პრობლემით.

კვიპროსის გაერთიანება რეალობად მაშინ იქცა, როდესაც თურქული კვიპროსის მო-

სახლეობისთვის ნათელი გახდა ევროკავშირში შესვლის ეკონომიკური ბენეფიტები. თუმცა, ანანის გეგმას, რომელიც თურქული ნაწილის კვიპროსის ფედერაციაში შესვლას ითვალისწინებდა, მხოლოდ არალიარებულმა ჩრდილოეთ კვიპროსმა დაუჭირა მხარი. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თურქეთის (ოკუპანტის) ევროპულმა მისწრაფებებმაც, რომელმაც ნათელად დაინახა, რომ ევროკავშირისთვის თურქეთის ევროკავშირში განევრიანება და ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობის მხარდაჭერა შეუთავსებელი იყო.

როდესაც კვიპროსმა ევროკავშირის წევრობაზე გააკეთა განაცხადი, ევროკომისია მიიჩნევდა, რომ განევრიანების პროცესში შეთავაზებული პირდაპირი სარგებელი ყველაზე მეტად შეუწყობდა ხელს კონ-

ფლიქტის მოგვარებას.<sup>16</sup>

კვიპროსისგან განსხვავებით, ევროკავშირი განევრიანების ნაცვლად ასოცირებას სთავაზობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს. სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, ბელორუსია – ამ ქვეყნების უმეტესობას სეცესიისა და ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების პრობლემა აქვს, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო.

განხილული მაგალითებიდან შესამჩნევია ტენდენცია, რომ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანებისთვის, ეკონომიკური სარგებელი დედა სახელმწიფოს მიმზიდველს ხდის. თუმცა, აუცილებელია სახელმწიფოს ძალისხმევა, რათა ევროინტეგრაციის სარგებელი კონფლიქტის მოგვარების საფუძვლად იქცეს.

## საქართველოს უმთავრესი გამოწვევა

არსებულ ვითარებაში არ უნდა გამოგვრჩეს კითხვა, რა ზომებს უნდა მიმართოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ ევროპული ინტეგრაცია და უმთავრესად სავიზო რეჟიმის გაუქმება დადებითად აისახოს აფხაზეთის/ცხინვალის რეგიონების დემოკრატიზაციაზე და ევროპულ მომავალზე?

აღსანიშნავია, ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც საქართველო დგას ამ პროცესში:

- არსებობს მოლოდინი, რომ ევროპასთან მეტი ინტეგრაციის შემთხვევაში, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლები ბუნებრივად გააკეთებენ არჩევანს ევროპული პერსპექტივ-

ის სასარგებლოდ. თუმცა, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის პირობებში ეს მოლოდინი სკეპტიციზმის საფუძველს იძლევა;

- (უმეტესად) აფხაზეთში იზრდება ანტიდასავლური განწყობები, რაც დეფაქტო ხელისუფლებას მტრის ხატის შექმნასა და რუსული არჩევანის უალტერნატივობის დანახვისთვის სჭირდება და ამ პროცესში საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი სტრატეგია ჯერ არ გააჩნია;
- აფხაზეთში და ცხინვალში მცხოვრებთა უმეტესობას, რომელთაც ევროპაში გამგზავრება სურთ, უკვე აქვთ რუსული პასპორტები და დაბრკოლებების მიუხედავად, ევროპული საკონსულოები მათ სავიზო განაცხადებს განიხილავენ;
- რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გაღრმავება და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში, მასთან მიერთებაზე რეფერენდუმის გამართვის გადწყვეტილება მიანიშნებს ამ

რეგიონებში დემოკრატიული პროცესების არარსებობაზე;

- ევროინტეგრაციის პარალელურად, საქართველოსთვის გამოწვევად რჩება სტაბილური პოლიტიკური გარემოს და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენარჩუნება, განსაკუთრებით საარჩევნო წელს.

ნათელია, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დემოკრატიზაციის პერსპექტივები უკიდურესად სუსტია. გარდა იმისა, რომ შიდა დონეზე მიმდინარე პროცესები ეთნოკრატიულ ხასიათს ატარებს, რუსეთის ფედერაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა თუ ფაქტობრივი ინტეგრაცია, ამ რეგიონებს კიდევ უფრო აშორებს როგორც (ისედაც) ჰიპოთეტურ დამოუკიდებლობას, ამავე დროს ტერიტორიაზე პროცესების დემოკრატიულად წარმართვის შესაძლებლობებსაც.

ამ ფონზე, საქართველოსთვის ორმაგი გამოწვევაა ევროპული სიკეთეებით ამ ტერიტორიებზე მცხოვრებთა მოზიდვა, მაშინ როცა ანტიქართულ განწყობებს რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდა ემატება.

## რეკომენდაციები

- აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, გაითვალისწინოს სხვა ქვეყნების მიერ მიღებული გამოცდილება (მოლდოვა, კვიპროსი, სერბეთი) და შეიმუშაოს ისეთი სამოქმედო გეგმა, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებს ევროპასთან უვიზო მიმოსვლის უპირატესობას წარმოუჩინს.
- ევროინტეგრაციის სიკეთეები არ შეიძლება იყოს მიჩნეული ისეთ ბუნებრივ მიზეზად, რომელიც თავისთავად გადაჭრის კონფლიქტს, სახელმწიფოს გააზრებული ხედვის გარეშე.
- საჭიროა, მოხდეს არსებული რეინტეგრაციის სტრატეგიის გადახედვა და ისეთი დოკუმენტის შექმნა, რომელიც პასუხობს დღევანდელ ვითარებას.
- იქიდან გამომდინარე, რომ აფხაზები და ოსები უკვე სარგებლობენ საქართველოს ჯანდაცვის სერვისებით, საგულისხმო იქნება ამ პროცესის შეფასება და წარმატებული ასპექტების გამოყენება ბიომეტრიული პასპორტებზე მოთხოვნის გაზრდის მიზნით.
- საჭიროა, რომ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლისა და თავისუფალი ვაჭრობის სიკეთეები განხილული იყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არალიარების პოლიტიკის კონტექსტში.

## ბიბლიოგრაფია:

- <sup>1</sup> ევროკომისიის ანგარიში: საქართველო აკმაყოფილებს ვიზალიბერალიზაციის კრიტერიუმებს, 18 დეკემბერი, 2015 [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-15-6368\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_IP-15-6368_en.htm)
- <sup>2</sup> საქართველოს უშიშროების საბჭო, ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებების შედარება და პოლიტიკური იმპლიკაციები საქართველოსთვის სამოკავშირეო ხელშეკრულებები <http://www.nsc.gov.ge/res/docs/2015020911123310799.pdf>
- <sup>3</sup> NIMD, ასოცირების ხელშეკრულების გზამკვლევი <http://nimd.ge/uploads/files/4902gzamkvlevi%2023-10-2014+.pdf>
- <sup>4</sup> ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი. ევროკავშირი და კონფლიქტები საქართველოში <http://www.ei-lat.ge/evrokavshiri-da-konfliktbe-saqarthveloshi/431-evrokavshiri-da-konfliktbe-saqarthveloshi.html>
- <sup>5</sup> განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები,

სახალხო დამცველის ანგარიში: <http://ombudsman.ge/uploads/other/3/3363.pdf>

<sup>6</sup> Freedom House, Freedom in the World 2011: Abkhazia Overview, 2011.

<sup>7</sup> Nicu Popescu, Democracy in Secessionism: Transnistria and Abkhazia's Domestic Policies, Open Society Institute, Center for Policy Studies, Central European University, 2006

<sup>8</sup> საქართველოს საგარეო სამინისტროს ანგარიშები ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. <http://mfa.gov.ge/Occupied-Territories/%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx>

<sup>9</sup> ავტორის ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან, 2015 წ.

<sup>10</sup> ნეტგაზეთი

<sup>11</sup> The EU and the Conflicts in the Eastern Neighborhood: The Case of Abkhazia, Irakli Khintba, 2010. <https://www.boell.de/en/navigation/europe-transatlantic-eu-conflicts-abkhazia-10215.html>

<sup>12</sup> ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვა ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე, ივნისი 2014 წ.

<sup>13</sup> საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ვიდეო მიმართვა, 2014 წ.

<sup>14</sup> ამერიკის სმა <http://www.golos-ameriki.ru/content/nc-georgia-sukhumi-on-threats/1948608.html>

<sup>15</sup> ნეტგაზეთი [http://netgazeti.ge/south\\_caucasus/86516/](http://netgazeti.ge/south_caucasus/86516/)

<sup>16</sup> The European Union and the Cyprus Problem 1961-2003 Author(s): Meltem Müftüler-Bac and Aylin Güney Source: Middle Eastern Studies, Vol. 41, No. 2 (Mar., 2005), pp. 281-293 Published by: Taylor & Francis, Ltd. Stable URL: <http://www.jstor.org/stable/4284362>

## დამატებითი ლიტერატურა:

- Nina Caspersen. Democracy, nationalism and (lack of) sovereignty: the complex dynamics of democratisation in unrecognised state. Nations and Nationalism, Volume 17, Issue 2, pages 337-356, April 2011.
- Coppieters, Bruno. Europeanization and conflict resolution: case studies from the European periphery. Vol. 3. Academia Press, 2004.
- Ker-Lindsay, James. The foreign policy of counter secession: preventing the recognition of contested states. Oxford University Press, 2012.
- Sabine Fischer. How to Engage with Abkhazia? Analysis. ISS. 2010
- საქართველოს რეფორმების ასოციაცია, ახალი ეტაპი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში: ანტი-ანექსიური სტრატეგიის ჩამოყალიბების აუცილებლობა. 2014

# Compendium of Policy Briefs

---

May 2016



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

The Georgian Institute of Politics (GIP) is a Tbilisi-based non-profit, non-partisan, research and analysis organization founded in early 2011. GIP strives to strengthen the organizational backbone of democratic institutions and promote good governance and development through policy research and advocacy in Georgia. It also encourages public participation in civil society-building and developing democratic processes. Since December 2013 GIP is member of the OSCE Network of Think Tanks and Academic Institutions.

\*This publication has been produced from the resources provided by the National Endowment for Democracy. The opinions expressed are those of the authors and do not necessarily reflect the views of the Georgian Institute of Politics and the National Endowment for Democracy.

© Georgian Institute of Politics, 2016

Tel: +995 599 99 02 12

Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

[www.gip.ge](http://www.gip.ge)

## FOREWORD

